www.24saati.ge
24 საათი
The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს
© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 3 ივნისი, 2009 წელი. №122 (2160) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

იუშჩენკო უკიდურესი ზომებისთვის მზად არის

A7



ისრაელის და რუსეთის მცდელობები

A8



# მუშაობა საარჩევნო რეფორმისათვის

ნათია მსხილაძე

*საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფი მომავალ კვირას სპეციალურ პროექტს წარმოადგენს, რომლითაც განსაზღვრული იქნება მონიტორინგის ჯგუფების მუშაობის წესი და კონკრეტული მექანიზმები. საარჩევნო სიებზე მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი კი ოპოზიციის წარმომადგენელი იქნება.*

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ოფისში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ ალინიშნა, რომ 3-4 ივლისს თბილისში ჩამოვლენ ვენეციის კომისიის ექსპერტები, რომლებიც საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების პროცესში ჩაერთვებიან და კოდექსზე მომუშავე ჯგუფს კონკრეტულ წინადადებებს შესთავაზებენ. **წარმოდგენილი იქნება პროექტი, თუ როგორ უნდა იმუშაოს საარჩევნო სიების მონიტორინგის ჯგუფმა. გარდა ამისა, 4-5 ივნისს თბილისში ჩამოვლენ ვენეციის კომისიის წარმომადგენლები, რომლებიც საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ შესაბამის წინადადებებს წარადგენენ,** - აღნიშნა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას დეპუტატმა ლევან ვეფხვაძემ.

რაც შეეხება საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფს, იგი ჯერჯერობით დაკომპლექტებულია სახელისუფლებო გუნდის, საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალი პარტიების, ეროვნულ-დემოკრატებისა" და მრეწველების" წარმომადგენლებისგან.

**ისე ვატყობ, რომ საქართველოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, სწრაფად დაინიშნოს არჩევნები... რომელი - ამას მნიშვნელობა არა აქვს... აქედან გამომდინარე, მომზადებაა საჭირო,** - ასე ახსნა პაუზის შემდეგ შეხვედრაზე გამოჩენა მრეწველების ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მიმართვა, პროტესტი და ახალი განხეთქილება

დათო გამისონია

*საპროტესტო აქციების ორგანიზატორი ოპოზიციური პარტიები გარკვეულ ღონისძიებებს ერთმანეთთან შეთანხმებით ატარებენ, თუმცა რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო მიტინგზე ისინი აქტიურობენ, რომლებიც პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.*

განსხვავებული სამოქმედო გეგმების მიუხედავად, საპროტესტო აქციების ორგანიზატორი ოპოზიციური პარტიები პერიოდულად მართავენ ერთობლივ აქციებს. დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს, ახალი მემარჯვენეების, კონსერვატიული და რესპუბლიკური პარტიების, ასევე ლევან გაჩეჩილაძისა და მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის საერთო განცხადება გუშინ თავდაცვის სამინისტროს შენობასთან რესპუბლიკელმა ირაკლი ბათიაშვილმა წაიკითხა. ლევან გაჩეჩილაძესთან, ნინო ბურჯანაძესთან, დავით გამყრელიძესთან, თინა ხიდაშელთან, ეკა ბესელიასთან და ზვიად ძიძიგურთან ერთად, თავდაცვის უწყებასთან იმყოფებოდა ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრი ზურაბ აბაშიძე. ოპოზიციურმა პარტიებმა საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვეს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება და დააწესონ მონიტორინგი როგორც დაპატიმრებული სამხედროების საქმეების გამოძიებაზე, ასევე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე პროცესებზე. გარდა ამისა, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა ქვეყნის პირველი პირი შეიარაღებული ძალების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაში დაადანაშაულეს. შეკრებილი ოპოზიციური პარტიების სახელით, ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, რომ **2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ, საქართველოს ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალების მიმართ მიზანმიმართული სადამსჯელო ღონისძიებების გატარება დაიწყო...**

გაგრძელება A2 გვერდზე



AFP ' 2009

# საკონსტიტუციო კომისიის პოპულარობა იზრდება

საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობის მსურველი პოლიტიკური პარტიების რიცხვი თანდათან იზრდება. მრეწველების ლიდერი ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომ, თუ 9 აპრილის საპროტესტო აქციების საორგანიზაციო კომიტეტის მხრიდან თანხმობა იქნება, მზად არის, ჩაერთოს ახალი კონსტიტუციის შექმნის პროცესში. ტყემალაძე უახლოეს მომავალში არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან კონსულტაციების გამართვას აპირებს და მრეწველები საბოლოო გადაწყვეტილებას სწორედ ამ კონსულტაციების დასრულების შემდეგ გამოაცხადებენ.

საკონსტიტუციო კომისიასთან თანამშრომლობის სურვილს მერაბ კოსტავას საზოგადოებაც გამოთქვამს. პარტიის ერთ-ერთ ლიდერ დავით კუპრეიშვილის თქმით, მერაბ კოსტავას საზოგადოება 1995 წელსაც აქტიურად მონაწილეობდა დღეს მოქმედი კონსტიტუციის შემუშავებაში.

**თუ მოგვეცემა იმის საშუალება, რომ ახალი კონსტიტუციის შექმნაზეც ვიმუშაოთ, აუცილებლად წამოვაყენებთ ჩვენს კანდიდატურას საკონსტიტუციო კომისიაში,** - აღნიშნავს კუპრეიშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER
კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" (ყოფილი "თბილისის წყალი") უპრეცედენტო აქცია გრძელდება
A5

24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## აფხაზეთიდან სოჭში ობიექტების მშენებლობისთვის ხრეშის გატანა დაიწყო

სეპარატისტული აფხაზეთიდან სოჭის ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისთვის ხრეშის პირველი პარტია გაიტანეს, - ეს განცხადება აფხაზეთის ე. წ. ეკონომიკის მინისტრმა კრისტინა ოზგანმა გააკეთა. მისი თქმით, რუსეთ-აფხაზური საწარმო "ნერუდკომპლექსის" მეშვეობით, რომელიც მდინარე კოდორზე მუშაობს, ხრეშით 40 ვაგონი დაიტვირთა. აფხაზური მედია აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებისას ასევე აღნიშნავს, რომ სოჭის ოლიმპიური ობიექტების მშენებლობისთვის აფხაზეთიდან სამშენებლო მასალების გატანის საკითხისადმი მიძღვნილ აფხაზეთის ე.წ. მთავრობის სხდომაზე პრემიერმა ალექსანდრე ანქვაბმა ამ საკითხზე ეკოლოგიის დაცვის სამსახურს მკაცრი კონტროლის განხორციელება მოსთხოვა" და განაცხადა, რომ "აფხაზეთის მთავრობა არ დაუშვებს, ამ საკითხის განხორციელებამ აფხაზეთის ეკოლოგია დააზიანოს .

*ჯი-ეიჩ-ენი*

## რუსული სამხედრო გამანადგურებელი ენგურის საზღვრის გასწვრივ დაფრინავდა

გუშინ დილით რუსეთის ფედერაციის სამხედრო ავიაგამადგურებელი მდინარე ენგურზე მდებარე საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ დაფრინავდა, - განაცხადა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის გალის მიმართულების კოორდინატორმა თორნიკე კილანავამ. მისი თქმით, საბძოლო თვითმფრინავს ენგურის საზღვრის პერიმერტი არ დაურღვევია. "თვითმფრინავი რამდენიმე წუთის განმავლობაში ფრენდა, შემდეგ კი რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით გაფრინდა," - აცხადებს კილანავა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## საქართველოს საჰაერო სივრცე კიდევ ერთხელ დაირღვა

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ვერტმფრენები: საბრძოლო "მი-24" და "მი-8" განმუხურისა და ხურჩის თავზე გუშინ რამდენიმე წუთის განმავლობაში დაფრინავდნენ. ვერტმფრენებმა ქართული პოლიციის საგუშაგოს გადაუფრინეს. ერთ-ერთი ვერტმფრენიდან ვიდეოგადაღებაც მიმდინარეობდა.

## აფეთქებული რადარი აღდგენილია

რუსეთ-საქართველოს ომის დროს ე.წ. მახათას მთაზე აფეთქებული რადარი აღდგენილია. ადგილზე ახალი რადიოცენტრი აშენდა. აღდგენილია რადიოსადგურის ყველანაირი საკომუნიკაციო საშუალება. ობიექტი უზრუნველყოფს სარადარო ინფორმაციის გადაცემას ფრენათა მართვის ცენტრში.

აღდგენითი სამუშაოები რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარებდა. მახათას მთაზე რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსული რაკეტა ჩამოვარდა და იქ არსებული რადარი და რადიოსადგური გაანადგურა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ნატო-ს სწავლება "ქოოფერეითივ ლანსერ 2009" ოფიციალურად დაიხურა

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ნატო-ს მრავალეროვანი სწავლება "ქოოფერეითივ ლანსერ 2009" ოფიციალურად დაიხურა. მონაწილე მხარეებს სწავლების დასრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა დავით ნაირაშვილმა და ნატო-ს მხრიდან მადრიდის შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა აბდულა ატაიმ მიულოცეს. ცერემონიალის დასასრულს მონაწილე მხარეების პირადი შემადგენლობის მეთაურებს სწავლებაში წარმატებით მონაწილეობისთვის სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

სწავლება 21 მაისს დაიწყო და ოფიციალურად 1 ივნისს დაიხურა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# მიმართვა, პროტესტი და ახალი განხეთქილება

პირველი გვერდიდან

**არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ე. წ. მუხროვანის ამბოხი ხელისუფლებამ მას შემდეგ გაითამაშა, რაც მოინდომა საჯარისო ნაწილების პოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩართვა და მათი გამოყენება საპროტესტოდ ქუჩაში გამოსული საზოგადოების წინააღმდეგ.**

თავდაცვის სამინისტროსთან წაკითხული ერთობლივი მიმართვის შემდეგ, 18:00 საათზე, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა, შემცირებული შემადგენლობით, პარლამენტის შენობის წინ საინფორმაციო მიტინგი განაახლეს. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში შექმნილ ვითარებაზე საუბარი ოპოზიციის ლიდერებმა ამჯერად საპროტესტო დემონსტრაციაზე განაგრძეს. არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ **ქართულ ჯარში მიდის ფასეულობების ნგრევა, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ხელისუფლება იმ ჯარისკაცებს ხოცავს, რომლებსაც სრულიად დამსახურებულად აქვთ მიღებული სხვადასხვა ორდენები და დიდი ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის მშენებლობასა და გამთლიანების მცდელობაში.** გარდა ამისა, პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც გააკრიტიკა. **საქართველოს ხერხემალი და უსაფრთხოების გარანტი ქართული ჯარია და არა ნატო, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროექტია და მეტი არაფერი,** - განაცხადა გაჩეჩილაძემ. გუშინდელ საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოსვლისას ოპოზიციის მოქმედებების შესახებ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ისაუბრა. ნინო ბურჯანაძის თქმით, **ბრძოლა შესაძლოა, ხანგრძლივი აღმოჩნდეს, თუმცა ის აუცილებლად მივა საბოლოო შედეგამდე, რასაც არსებული ხელისუფლების ცვლილება ჰქვია.** გარდა ამისა, დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერმა გააპროტესტა ის ტერმინი, რომლითაც საპროტესტო აქციების ორგანიზატორ ოპოზიციურ პარტიებს მოიხსენიებენ. **არავინ გაბედოს ჩვენთვის რადიკალების დაძახება, ოპოზიცია რომ რადიკალური ყოფილიყო, სააკაშვილის ხელისუფლება 26 მაისს დასრულდებოდა, თუმცა ამას შეიძლება სისხლისღვრა მოჰყოლოდა,** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

### ახალი ალიანსის ძიებაში

გუშინ მომავლის პარტიის ლიდერმა გია მაისაშვილმა ალიანსი თავისუფლებისთვის დატოვა. პრესკონფერენციაზე მან ოთხი პარტიისაგან შემდგარი ერთობის დატოვების მიზეზებზე ისაუბრა. მაისაშვილი არ ეთანხმება უკვე ყოფილი პოლიტიკური მოკავშირეების გადაწყვეტილებას. მისი თქმით, ალიანსი თავისუფლებისთვის წევრები კოკო გამსახურდია, კაკო ასათიანი და გუგული მაღრაძე ყოფილ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის პოლიტიკურ პარტიასთან დაახლოებას ცდილობენ. **ჩემთვის მიუღებელია პარტნიორობა ისეთ პოლიტიკოსთან, რომელიც გარკვეული წლების განმავლობაში დღევანდელ მთავრობაში იყო და საქართველოს ეკონომიკის დანგრევაში დიდ როლს ასრულებდა,** - აღნიშნა გია მაისაშვილმა. ზურაბ ნოღაიდელის მიმართ მაისაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის წევრმა პეტრე მამრაძემ შეაფასა. **განცხადება, რომ ნოღაიდელი ანგრევდა ეკონომიკას, სრულიად არაადეკვატური და არასერიოზულია, ვინაიდან ნოღაიდელის პრემიერ-მინისტრობის პერიოდის საფუძვლიანი ანალიზები არსებობს. ნოღაიდელმა, როგორც ყველაზე ეფექტიანმა პრემიერ-მინისტრმა, ჯილდოც კი მიიღო, ხოლო ნოღაიდელისადმი მაისაშვილის დამოკიდებულება პირადულია.**

რაც შეეხება გია მაისაშვილის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, ალიანსი თავისუფლებისთვის ლიდერმა კოკო გამსახურდიამ პოლიტიკური ერთობიდან მომავლის პარტიის ლიდერის წასვლის განსხვავებული მიზეზი დაასახელა. **აქ ნოღაიდელის თემა უფრო საბაბია, ხოლო მაისაშვილთან არსებული უთანხმოების არსებითი მიზეზი ის არის, რომ ბატონ გიას ხელისუფლებასთან შეხვედრა სურდა, რათა ეროვნული ერთიანობის და თანხმობის კოალიციური მთავრობის შექმნის თაობაზე მოლაპარაკებოდა. ასეთი დიალოგი ხელისუფლებასთან ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია,** - განმარტა გამსახურდიამ.

ალიანსი თავისუფლებისთვის დატოვების შემდეგ გია მაისაშვილს მომავალ პოლიტიკურ გეგმებზე კონკრეტულად არ უსაუბრია, თუმცა არ გამოურიცხავს ირაკლი ალასანიასთან თანამშრომლობა. მაისაშვილი მიიჩნევს, რომ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში ყველაზე კონსტრუქციული ხედვა სწორედ ალასანიას აქვს. 24 საათი დაუკავშირდა ალიანსი საქართველოსთვის წევრ ზურაბ აბაშიძეს. მისი თქმით, ირაკლი ალასანიამ შეხვედრა გამართა გია მაისაშვილთან, თუმცა აბაშიძემ უარყო მაისაშვილთან რაიმე ტიპის პოლიტიკური დაახლოება, მით უმეტეს გამორიცხა მომავლის პარტიის ლიდერთან ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება.

# დივერსია რკინიგზაზე

*დასავლეთ საქართველოში რკინიგზის აფეთქებას დივერსიის კვალიფიკაცია უკვე მიეცა, თუმცა თბილისში ოფიციალურად ვინმეს დადანაშაულებას არ ჩქარობენ. სოხუმის რეჟიმი ინციდენტის მიზეზებს საქართველოს შიგნით არსებულ დაპირისპირებაში ხედავს, ქართული ოპოზიცია კი ხელისუფლებას უმოქმედობის გამო საყვედურობს.*

აფეთქება ინგირი-ხობის სარკინიგზო გადასარბენზე 03:00-დან 04:00 საათამდე მოხდა. აფეთქების შედეგად, ლიანდაგის 6-მეტრიანი მონაკვეთი დაზიანდა. მეზობელ სახლებში მინები ჩაიმსხვრა. გუშინ შემთხვევის ადგილი კრიმინალისტებმა შეისწავლეს. ცოტა ხანში ლიანდაგი შეკეთდა და მოძრაობაც აღდგა.

რამდენიმე საათში საქართველოს რკინიგზამ მომხდარის ოფიციალური ვერსია გაახმოვანა: დივერსია. კერძოდ, აფეთქება საათის მექანიზმიანი ასაფეთქებელი მოწყობილობის საშუალებით მოხდა. ასაფეთქებელ მასალად ტროტილი იყო გამოყენებული.

რკინიგზაში ასევე აცხადებენ, რომ აფეთქება სამგზავრო მატარებლის გავლამდე, დაახლოებით, 2 საათით ადრე მოხდა. **"საბედნიეროდ, მატარებელი არ აფეთქებულა და შემთხვევის შედეგად არავინ დაზარალებულა,"** - განაცხადა "საქართველოს რკინიგზის" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ირმა სტეფნაძემ.

**"მართალია, აფეთქება აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს მოხდა, მაგრამ არის თუ არა ეს აფეთქება დაკავშირებული აფხაზური მხარის რაიმე ქმედებასთან, ამას ვერ ვიტყვით. საქართველოს რკინიგზა პოლიტიკურ განცხადებას ვერ გააკეთებს,"** - აღნიშნა სტეფნაძემ.

სამაგიეროდ, პოლიტიკური განცხადება სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის რწმუნებულმა გალის რაიონში რუსლან ქიშმარიამ გააკეთა.

მისი თქმით, საქართველოს რკინიგზაზე მომხდარი აფეთქება ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ვითარებასთან არის დაკავშირებული.

**"საქართველოში მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისთვის. ქვეყანაში არასტაბილური ვითარებაა და ეს ტერორისტული აქტი სარკინიგზო ხაზების ბლოკირების აქციის კონტექსტში ჯდება,"** - განაცხადა ქიშმარიამ. მისი თქმით, ასეთი აქციები თავად საქართველოს ხელისუფლების მიერ არის ორგანიზებული, რათა **"ამაში შემდეგ შიდა ძალები დაადანაშაულოს."**

გამოხმაურება ინციდენტს გუშინ საქართველოს "შიდა ძალების" მხრიდანაც მოჰყვა. ოპოზიცია სწორედ იმან აღაშფოთა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ინციდენტზე ოფიციალურად რეაგირება ჯერ არ მოუხდენია და დივერსიაში არავინ დაუდანაშაულებია. **"ეს არის აშკარად დივერსიის აქტი. არ ვიცი, ამაში ვისი ხელი ურევია, მაგრამ თუ ქვეყანაში ხელისუფლება არსებობს, ასეთი ფაქტები სასწრაფოდ უნდა იქნას აღკვეთილი და გამოძიებული,"** - განაცხადა პარტია "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

# აშშ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნების კანონიერებას არ აღიარებს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს სუვერენიტეტს და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნების კანონიერებას არ აღიარებს, - ამის შესახებ ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. "ეს ნაბიჯი შორს არის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით და მოლაპარაკებებით დარეგულირებისგან. ამერიკა კვლავ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს სუვერენიტეტსა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიულ მთლიანობას, - ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში. ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა ე.წ. საპარლამენტო არჩევნები 31 მაისს ჩაატარა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# მუშაობა საარჩევნო რეფორმისათვის

პირველი გვერდიდან

საარჩევნო კოდექსის შესახებ საკუთარი წინადადებებით ყველაზე მეტად "ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია აქტიურობდა.

დღის პირველ ნახევარში მან სპეციალური ბრიფინგიც კი გამართა და ოთხპუნქტიანი მემორანდუმიც წარმოადგინა.

დეპუტატმა დააყენა წინადადება, რომ საარჩევნო კანონმდებლობით არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისთვის ფინანსური სახსრების ხარჯვაზე ზედა ზღვარი დაწესდეს. გარდა ამისა, დეპუტატის მიერ მომზადებული საარჩევნო რეფორმის ძირითად მიმართულებებს ახალი პარიტეტული საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირება, საარჩევნო სიების დაზუსტება, მონიტორინგი და სპეც-უბნების გაუქმება წარმოადგენს. მისივე თქმით, მსგავსი სისტემის ჩამოყალიბების შემთხვევაში, არჩევნების დროს თითოეულ პარტიას ბიუჯეტიდან თანაბარი, განსაზღვრული თანხა გამოეყოფა. **თუ პარტიამ მისთვის განკუთვნილ თანხას გადააჭარბა, არჩევნებიდან მოიხსნება,** - განმარტა ოპოზიციონერმა დეპუტატმა.

საარჩევნო სიებზე მონიტორინგის ჯგუფს ოპოზიციის წარმომადგენელი უხელმძღვანელებს. ჯერჯერობით ერთადერთი - ჯონდი ბაღათურიას კანდიდატურა დასახელდა, თუმცა კანდიდატურის თაობაზე გუშინდელ შეხვედრაზე ვერ შეთანხმდნენ.

გუშინვე NDI-ის ოფისში გამართულ შეხვედრაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სამუშაო ჯგუფის მონაწილეებს საარჩევნო სიები წარუდგინა. კომისიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი ამ სიების სიზუსტეში დარწმუნებულია. მისი თქმით, ცდომილება შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ გარდაცვლილთა და ქვეყნიდან გასული პირების შემთხვევაში.

საარჩევნო სიების მონიტორინგი სპეციალურმა ჯგუფმა უნდა განახორციელოს. ჯგუფის წევრები 3600-ვე უბანს დაივლიან და საარჩევნო სიების სიზუსტეს ადგილზე გადაამოწმებენ. საარჩევნო სიების მონიტორინგის ჯგუფში ოპოზიცია უმრავლესობით იქნება წარმოდგენილი.

# საკონსტიტუციო კომისიის პოპულარობა იზრდება

პირველი გვერდიდან

მერაბ კოსტავას საზოგადოებაში მიაჩნიათ, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაუქმება ამ ეტაპზე ნაადრევია.

**კარგი იქნება, თუ ახალი კონსტიტუციით პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის - პრეზიდენტის უფლებამოსილებები დაბალანსდება. გარდა ამისა, ორივე ამ სახელისუფლებო შტოსგან მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული სასამართლო ხელისუფლება,** - აცხადებს დავით კუპრეიშვილი.

საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობის მსურველთა შორის ზურაბ ნოღაიდელის თანაპარტიელი პეტრე მამრაძეც ფიგურირებს.

თავის მხრივ, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი ავთანდილ დემეტრაშვილიც მიზანშეწონილად მიიჩნევს, ახალი კონსტიტუციის შემუშავებაში რაც შეიძლება მეტმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, მისივე თქმით, არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რომლებსაც ეს სუბიექტები უნდა აკმაყოფილებდნენ. კერძოდ, ეს პარტიები უნდა იღებდნენ საბიუჯეტო დაფინანსებას და გააჩნდეთ გარკვეული რეიტინგი.

დემეტრაშვილის თქმით, მრეწველები ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებენ და, თუ ისინი საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობის სურვილს ოფიციალურად გამოთქვამენ, მათ საშუალება მიეცემათ, კომისიაში ერთი წევრის კანდიდატურა წარადგინონ. რაც შეეხება პეტრე მამრაძისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების კანდიდატურებს, კომისია იმსჯელებს იმის შესახებ, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი კრიტერიუმებს.

ბოლო პერიოდში ზოგიერთმა პოლიტიკოსმა (ძირითადად, ქრისტიან-დემოკრატების ლიდერებმა) გააკეთა განცხადებები ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში საქართველოს საპატრიარქოს ჩართვის მიზანშეწონილობის შესახებ. თუმცა, მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიაჩნიათ, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა გამართლებული არ არის. აღნიშნულ პოზიციას საპატრიარქო საგანგებო განცხადებით გამოხატავს, რომელიც გუშინ ჟურნალისტებს მამა მიქაელ ბოტკოველმა გააცნო.

**ბოლო დროს აქტიურად დაიწყეს მსჯელობა კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ და ამ მიზნით კომისიასაც ქმნიან. ამასთან, ზოგიერთმა პოლიტიკოსმა არაერთხელ წამოაყენა წინადადება აღნიშნულ კომისიაში საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლის ჩართვის შესახებ. გვინდა, განვაცხადოთ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის საყოველთაო განხილვის შემდეგ გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება და ამ იურიდიული დოკუმენტით განსაზღვრული ეკლესიის სტატუსი ჩვენთვის არის სრულიად მისაღები და მისი რევიზია კონსტიტუციური ცვლილებების შემთხვევაშიც (იქნება ეს ახლა თუ მომავალში) დაუშვებლად მიგვაჩნია. სხვა კონსტიტუციური და იურიდიული საკითხების განხილვაში ეკლესიის ჩართვა გამართლებული არ არის, რადგან ეს პროცესი, ბუნებრივია, პოლიტიკური დებატების ფონზე განვითარდება, ხოლო ეკლესია პოლიტიკურად ნეიტრალური უნდა იყოს, რათა შეასრულოს ერის გამაერთიანებელი ინსტიტუტის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია,** - ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

საპატრიარქოს ამ განცხადებას ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე გამოეხმაურა. საკონსტიტუციო კომისიის თაობაზე საპატრიარქოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში იგი პრობლემას ვერ ხედავს.

**ამ გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ საპატრიარქოსთვის მისაღებია ის სტატუსი, რაც ეკლესიას კონსტიტუციით გააჩნია,** - მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციას პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ბოლომდე იზიარებს.

*საკუთარი ინფორმაცია*

# "გაერო-ს მისიის რეზოლუციაზე მთავარი სამუშაო ჯერ კიდევ წინ არის"

რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში ვიტალი ჩურკინი გაზეთ "როსიისკაია გაზეტასათვის" მიცემულ ინტერვიუში გაერო-ს გენერალურ მდივან ბან კი მუნის მიერ წამოყენებულ ახალ წინადადებებზე საუბრობს და აცხადებს, რომ გენმდივნის ანგარიშში, კავკასიაში შექმნილი "ახალი რეალობების" გათვალისწინების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯებია ასახული. "პირველი არის ის, რომ შეცვლილია თავად ანგარიშის სახელწოდება. მეორე კი არის ის, რომ გაერო-ს გენმდივანი გამოდის წინადადებით, გაერო-ს მისიას შეეცვალოს სახელი და მას სტაბილიზაციის სადამკვირვებლო მისია ეწოდოს, ეს კი რეგიონში არსებული სიტუაციის ახლანდელ ეტაპს სავსებით შეესაბამება," - აცხადებს ჩურკინი და დასძენს, რომ ახლა მთავარია რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა "გამოირიცხოს საქართველოს აგრესიის რეციდივი მისი რეგიონული მეზობლების მიმართ. ყოველივე ეს კი თავდაუსხმელობის ხელშეკრულებით უნდა იყოს გამყარებული." თუმცა ჩურკინი იქვე აღნიშნავს, რომ "რეზოლუციაზე მთავარი სამუშაო ჯერ კიდევ წინაა. ეს სამუშაო 15 ივნისისთვის უნდა დასრულდეს, რადგან სწორედ ამ დროისათვის იწურება გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ამჟამად არსებული მანდატი."

*ჯი-ეიჩ-ენი*

## საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვი საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩ მასაიოში კამოჰარას შეხვდა. მხარეებმა მიმდინარე წლის 12-15 მაისს ტოკიოში გამართული იაპონია-საქართველოს პოლიტიკური კონსულტაციების შედეგები განიხილეს, ასევე ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების საკითხებსა და შემდგომი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე.

აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობაზე, კერძოდ კი - ტურიზმსა და გარემოს დაცვით პროექტებში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ვიზიტით გერმანიაში იმყოფებოდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი მუჩაიძე ოფიციალური ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ბერლინში ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა გერმანულ მხარესთან სამხედრო-პოლიტიკური მოლაპარაკებების გამართვა გერმანიისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებს შორის 2009 წლის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში. გერმანულ მხარეს გერმანიის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური და შეიარაღების კონტროლის დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე, ბრიგადის გენერალი ჰანს ვირმანი ხელმძღვანელობდა. შეხვედრების მსვლელობისას თავდაცვის სფეროში გერმანიასა და საქართველოს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და სამომავლო პერსპექტივები, თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები და გეგმები (მინისტრის ხედვა), საქართველოს შეიარაღებულ ძალებში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები განიხილეს. მათ ასევე იმსჯელეს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდსა და საქართველოში არსებულ უსაფრთხოების სიტუაციაზე, საერთაშორისო ოპერაციებში გერმანიის მონაწილეობასა და ევროატლანტიკური უსაფრთხოების საკითხებზე.

ვიზიტის მსვლელობისას გიორგი მუჩაიძე გერმანიის თავდაცვის მინისტრის მოადგილე რუდიგერ ვოლფსაც შეხვდა და გერმანიის შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიას ეწვია, სადაც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ქართველი სტუდენტი მოინახულა და აკადემიის წარმომადგენლობას გაესაუბრა.

*მედიანიუსი*

## ეროვნული გვარდიის ახალი ხელმძღვანელი მუშაობას შეუდგა

საქართველოს პარლამენტის წევრი ზურაბ არსოშვილი ოფიციალურად დაინიშნა ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსად. 31 წლის არსოშვილი 2000-2004 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, 2004-2008 წლებში კი ფინანსურ პოლიციაში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. 2008 წლის დასაწყისში ის თბილისის მერის მოადგილე იყო, 2008 წლის მაისში კი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა. ეროვნული გვარდიის ყოფილი ხელმძღვანელი შმაგი თელია მუშაობას გაერთიანებულ შტაბში გააგრძელებს.

*მედიანიუსი*

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო**

**აცხადებს აღმასრულებლისა და კერძო აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდას**

საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 (ოცდაერთი) წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

გამოცდაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება და რეგისტრაცია იწარმოებს 2009 წლის 26 მაისიდან 2009 წლის 9 ივნისის ჩათვლით, **ყოველდღე 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.**

**მისამართი:** ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ N1;

საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

**ა) განცხადება აღმასრულებლის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების შესახებ (ივსება ადგილზე);**

**ბ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი დანართთან ერთად;**

**გ) ავტობიოგრაფია;**

**დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;**

**ე) ორი ფოტოსურათი ზომით 3X4;**

**ვ) გამოცდაში მონაწილეობისათვის კანონით დაწესებული საფასურის - 200 (ორასი) ლარის აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.**

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საბანკო რეკვიზიტები:
**ს.ს "საქართველოს ბანკის" ც.ფ**
**ა/ა 593 807 600;**
**ბ/კ 220 101 502.**
**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:**
ტელ: (+995 32) 745 165; (+995 32) 745 285; (+995 32) 749 886.
**ან ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს**
www.nbe.gov.ge

### ლაშა ჟვანია თურქეთის საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მინისტრს შეხვდა

თურქეთში ვიზიტით მყოფი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია მასპინძელი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მინისტრ ზაფერ ჩაღლაიანს შეხვდა.

შეხვედრა ვაჭრობის მინისტრების ტრადიციული სამიტის - მსოფლიო სავაჭრო ხიდი - 2009" - ფარგლებში გაიმართა. ლაშა ჟვანიამ და ზაფერ ჩაღლაიანმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება განიხილეს.

ლაშა ჟვანიამ ყურადღება საქართველოდან თურქეთში ღვინისა და თაფლის ექსპორტზე გაამახვილა. ორ ქვეყანას შორის მოქმედი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მიხედვით, საქართველოს თურქეთში ღვინის გასატანად ერთი მილიონი ტონის კვოტა აქვს დაწესებული. დადგენილი კვოტის ფარგლებში მას ერთჯერადად 20 000 ლიტრი ღვინის გატანა შეუძლია. ლაშა ჟვანიას აზრით, კარგი იქნება, თუ ერთჯერადი ლიმიტი გაიზრდება. ამ ინიციატივის განხილვას მისმა თურქმა კოლეგამ მხარი დაუჭირა.

ლაშა ჟვანიამ და ზაფერ ჩაღლაიანმა ასევე ისაუბრეს სატრანსპორტო - სამშენებლო სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივაზე.

შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა თურქეთის საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო მინისტრი ბათუმში ახალი, 24-სართულიანი სასტუმროს გახსნაზე დაპატიჟა.

ლაშა ჟვანა საქართველოში 5 ივნისს დაბრუნდება.

### გია გვაზავამ ნოვო ჯგუფის" ხელმძღვანელობას მადლობის წერილი გაუგზავნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზავამ ნოვო ჯგუფის" ხელმძღვანელობას სოხუმში ბენეტონის" მაღაზიის გახსნის წინააღმდეგ გამოსვლასთან დაკავშირებით ოფიციალურად მადლობის წერილი გაუგზავნა.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ზნეობრივი და პოლიტიკური დატვირთვის მქონე ღონისძიებებით თქვენ მკაფიოდ უჩვენეთ საზოგადოებას, რომ ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და სამშობლოს ერთიანობისთვის პოლიტიკური ბრძოლა შესაძლებელია და აუცილებელიცაა ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საქმეში თანადგომისა და მხარდაჭერის ჭეშმარიტად პატრიოტული გამოვლინებისათვის," - ნათქვამია წერილში.

ცნობისათვის: რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ სოხუმში მაღაზია ბენეტონის" გახსნა იგეგმებოდა. თბილისში მოქმედმა ბენეტონის" მაღაზიებმა ეს ფაქტი გააპროტესტეს და მუშაობა შეაჩერეს. მოგვიანებით ბენეტონის" თურქეთის ოფისმა ეს გადაწყვეტილება გააუქმა.

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი**

**აცხადებს მსურველთა მიღებას**



**საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების, მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებების სამაგისტრო პროგრამებზე:**

სამაგისტრო პროგრამები გათვლილია 4 სემესტრზე. სწავლის წლიური საფასური სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებების სამაგისტრო პროგრამებზე 5000 ლარია, დანარჩენზე კი – 3000 ლარი. **საფასურის 50% აფინანსებს საქართველოს საპატრიარქო.**

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისამდე ქართული უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში (ი. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ოთახი №103) 10-დან 17 საათამდე.
(კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ: საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხურის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ნოტარიალურად დამოწმებული ასლები; 2 ფოტოსურათი (3X4); პირადობის მოწმობის ასლი; სარეკომენდაციო წერილი)

დამატებით ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამების, ხელმძღვანელების, კონკურსის პირობებისა და საგამოცდო თემატიკის თაობაზე განთავსდება ჩვენს ვებგვერდზე

**www.sangu.ge.**

ცნობებისათვის შეიძლება აგრეთვე მოგვმართოთ ტელეფონზე 25 82 43

# მთაში ტურისტული სეზონი გაიხსნა

## კომპანია "თებულოტურის" მარშრუტი მთაში და მთიდან თბილისში



ლიკა ჯობაძე

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში ტურისტული ბიზნესი, განსაკუთრებით კი შიდა ტურიზმი, ძალიან სწრაფად ვითარდება. საზღვარგარეთ დასვენების მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია, მაგრამ ფინანსური კრიზისის პირობებში თავს ამ "ფუფუნების" უფლებას ბევრი ველარ აძლევს.

ვისაც დასვენება უნდა, საქართველოს კურორტებზეც მოახერხებს და ამაში შიდა ტურისტული კომპანიები დაეხმარებიან. ჩვენს "ბიზნეს-ამბავში" დღეს იმ კომპანიაზე მოგითხრობთ, რომელიც შიდა ტურისტულ კომპანიათა შორის ერთ-ერთი პირველია.

ტურისტული კომპანია "თებულოტურის" შექმნის იდეა მაშინ გაჩნდა, როცა მისი ერთ-ერთი დამფუძნებლის ფოტოებით საზოგადოება დაინტერესდა. კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი პაატა ვარდანაშვილი ფოტოაპარატით ხელში მთელს საქართველოში მოგზაურობდა და გადაღებულ ფოტოებს შემდგომ საკუთარ ვებ-გვერდზე (www.paata.ge) განათავსებდა. სწორედ ამ საიტის წყალობით მრავალმა ადამიანმა ნახა და გაიცნო საქართველოს მთის რეგიონი და ფოტოებში ნანახის რეალურად შეფასებისა და მონახულების სურვილი გაუჩნდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვებ-გვერდზე განთავსებულმა ფოტოებმა და ვიდეო-მასალებმა ბევრი უცხოელი და საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ადამიანიც დააინტერესა.

პაატა ვარდანაშვილმა ხევსურეთში მოგზაურობის დროს გაიცნო მომღერალი და პოეტი გელა დაიაური, რომელიც მთის მოყვარულ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა. მათ ერთად გადაწყვიტეს, შეექმნათ ტურისტული კომპანია, რომელიც საქართველოს ბუნების მოყვარულებს მათთან ერთად მოგზაურობის საშუალებას მისცემდა.

"თებულოტურის" დამფუძნებლები და მათი გიდები საქართველოს ძალიან კარგად იცნობენ და ტურისტისთვის მათთან ერთად მოგზაურობა ორმაგად საინტერესოა. კომპანიის დამფუძნებლები ტურისტებს მოგზაურობისას საინტერესო ფოტოებს უღებენ, დღის ბოლოს კი მომღერალი და პოეტი გელა დაიაური მათთვის ფოლკლორულ საღამოს აწყობს.

**"თებულოტური" დაინტერესებულ პირებს საქართველოს რეგიონებში მოგზაურობას სთავაზობს. ტურისტული მარშრუტების ხანგრძლივობა მოთხოვნაზეა დამოკიდებული, თუმცა უფრო ხშირად "თებულოტური" "Weekend -ის ორგანიზებას ახორციელებს. ჩვენი კომპანია ტურისტებს, საქართველოს გარდა, ტაოკლარჯეთსა და საინგილოში მოგზაურობასაც სთავაზობს. რამდენიმე გასვლა მოეწყო ირანში, ადგილობრივ ფერეიდნელებთან შესახვედრად.**

**ტურისტები უფრო ახლოს გაიცნობენ მთის ხალხს და მათ კულტურას, რაც თავის მხრივ ამ რეგიონების პოპულარიზაციას უწყობს ხელს.**

**ზაფხულის სეზონი მთის მოსახლეობისთვის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ჩვენი კომპანია ცდილობს, თავის ტურებში ადგილობრივი მოსახლეობაც ჩართოს. ისინი ძირითადად გიდები და ტურისტების მასპინძლები არიან. დიდი ინტერესით სარგებლობს ხალხური რეწვისა და კვების პროდუქტები.**

**ტურისტული სეზონი უკვე გაიხსნა და პირველი ტურისტული მარშრუტი ხევსურეთში უკვე ჩავატარეთ. ვფიქრობთ, რომ წლევანდელი სეზონის შიდა ტურიზმი გასულთან შედარებით უფრო დატვირთული იქნება.**

**"თებულოტურის" პოპულარიზაციას ვებ-გვერდი განაპირობებს, რადგან ამ საიტის წყალობით საქართველოს ბუნებით ბევრი უცხოელი ტურისტი დაინტერესდა და ჩამოვიდა კიდეც. არიან ისეთებიც, ვინც წელიწადის ყველა სეზონზე ჩამოდის,"** - აღნიშნავს ერთ-ერთი დამფუძნებელი პაატა ვარდანაშვილი.

კომპანია "თებულოტური"2-4-დღიან ტურებს ახორციელებს სვანეთში, თუშეთში, ხევსურეთში, სამცხე-ჯავახეთში. საქართველოს სხვა რეგიონებში კი უფრო მოკლევადიან გასვლებსაც გთავაზობთ. ფასში შედის ტრანსპორტირება, კვება, ღამის თევა და გიდის მომსახურება. მარშრუტის ფასი ტურისტული ჯგუფის, ადგილისა და დღეების რაოდენობაზეა დამოკიდებული. ერთდღიანი მარშრუტის ფასი 40-50 ლარია, 2-დღიანის - 80-120 ლარი, 3-4-დღიანისა კი - 250-450 ლარი. ღამის თევა შესაძლებელი როგორც საოჯახო სასტუმროებში, ასევე კარვებში. ტურისტული კომპანია მსურველებს სთავაზობს როგორც ექსკურსიებს, ასევე "ჯიპ-ტურებსა" და ლაშქრობებს.

**"მთაში ბევრი საინტერესო და ლამაზი ადგილია, რომელიც, ვფიქრობ, ყველა ქართველს უნდა ჰქონდეს ნანახი. დიდია უცხოელი ტურისტების ინტერესი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მთის რეგიონისთვის ზაფხულის სეზონი სასიცოცხლოა, რადგან სწორედ ამ დროს იხსნება სავალი გზები და რეგიონი ცოცხლდება,"** - ამბობს გელა დაიაური.

მთის რეგიონის პოპულარიზაციისთვის კომპანია "თებულოტური" ატარებს ღონისძიებას "ხევსურული საღამო მზიურში", რომელიც წელს უკვე მესამედ, ტრადიციულად, 26 ივნისს გაიმართება. დიდი ინტერესის გამო, ღონისძიება ხევსურეთის ფარგლებს გასცდა და საქართველოს მთის ყველა რეგიონი მოიცვა. **"ეს არის მთის საჩუქარი თბილისელებისა და თბილისის სტუმრებისთვის. თუ თბილისელები ვერ მიდიან მთაში, მთა თავად მოდის მათთან. ეს ღონისძიება იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ საშუალება გვეძლევა, ერთი დღით მაინც შევხვდეთ მთის ხალხი და მთის მოყვარულნი ერთმანეთს და ერთად აღვნიშნოთ მთაში სავალი გზების გახსნა. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კლიმატური პირობების გამო 7-8 თვის მანძილზე მოწყვეტილნი ვართ გარე სამყაროს,"** - ამბობს გელა დაიაური, კომპანიის დამფუძნებელი.

მთის მომღერლების, პოეტების, სახალხო მთქმელებისა და მოცეკავეების გარდა, ღონისძიებაზე გამოეფინება მთის ცხოვრებისა და ბუნების ამსახველი ფოტომასალა, წარმოდგენილი იქნება მთისთვის დამახასიათებელი ხალხური რეწვის ნიმუშები და სამზარეულო, რომლის შეძენაც ნებისმიერი მსურველისთვის იქნება შესაძლებელი. სპეციალურად ამ საღამოსთვის მოიხარშება ხევსურული ლუდი.

საღამოზე მოეწყობა მთის შესახებ გამოცემული წიგნებისა და აუდიომასალის პრეზენტაცია. **"სპეციალურად საღამოსთვის გამოვცემთ წიგნებსა და კომპაქტდისკებს. წელსვე გამოვა გელა დაიაურის ლექსების ახალი კრებული და ქისტი მომღერლის სულთან ბორჩაშვილის ორი - ჩეჩნურენოვანი და ხევსურული სიმღერების ალბომი. ღონისძიებით დაინტერესდა კომპანია "მაგთი", რომელიც წელს ღონისძიების "ხევსურული საღამო მზიურში" სპონსორი იქნება,"** - აღნიშნავს პაატა ვარდანაშვილი.

# სამართლებრივი კონსულტაციები დევნილებისთვის

*აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა სამართლებრივი კონსულტაციების პროექტს გაეცნო. პროექტის შესახებ ინფორმაცია დევნილებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კობა სუბელიანთან და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე მალხაზ აქიშბაისთან ერთად გააცნო.*



*დიმიტრი შაშკინი დევნილებთან შეხვედრისას*

აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, რომელიც თბილისის №99 ბაგა-ბაღის შენობაში კომპაქტურადაა ჩასახლებული, იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს იურისტები ესტუმრნენ და უფასო სამართლებრივი კონსულტაციები გაუწიეს. მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის პროექტის ფარგლებში, რომელიც აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობისათვის უფასო კონსულტაციების ადგილზე გაწევას ითვალისწინებს. პროექტის მიზანი უფასო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდა და იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ დევნილთა ინფორმირებაა.

**"საქართველოს მთავრობა ერთ-ერთ პრიორიტეტად დევნილებზე ზრუნვას მიიჩნევს. მართლმსაჯულება ყველა მოქალაქეს ეკუთვნის, მიუხედავად სოციალური სტატუსისა. ჩვენი საქმიანობის უმთავრესი პრინციპიც სწორედ ეს არის. ამიტომაც, იურიდიული დახმარების სამსახური დღეიდან იწყებს პროექტს, რომელიც დაეხმარება აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს საკუთარი უფლებების რეალიზებაში,"** - აღნიშნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა.

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის რუსუდან ტაბატაძის ინფორმაციით, მიმდინარე წლის ზაფხულის განმავლობაში იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები თბილისში - რვა, ხოლო მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლში არსებულ დევნილთა ათ კომპაქტურ დასახლებას მოინახულებენ და დევნილებს ადგილზე გაუწევენ უფასო სამართლებრივ კონსულტაციებს.

იძულებით გადაადგილებული პირებისათვის უფასო კონსულტაციის გაწევა იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის-ზესტაფონის, იმერეთის-ქუთაისის, სამეგრელოს-ზუგდიდი, სამეგრელოს-ფოთის და აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროები, ასევე ოზურგეთისა და ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრები რეგულარულად ახორციელებენ გასვლით კონსულტაციებს. წელს მათ თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროც შეუერთდება.

**საკუთარი ინფორმაცია**

## დევნილთა დასაქმების პროექტი

*იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან თანამშრომლობით დაგეგმილი პროექტის ფარგლებში, ოცდაათამდე დევნილი დასაქმდება. არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლებრივი განვითარებისა და კონსულტაციების ჯგუფმა" სოფელ კოდაში დევნილების დასაქმების ღონისძიების პრეზენტაცია გამართა. ღონისძიებას სამოქლაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე ესწრებოდა.*

პროექტი, სახელწოდებით "მოსახლეობის რეგისტრაცია და ნატურალიზაცია მათთვის სოციალური სერვისებისა და დაცვის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად", UNICEF-ისა და UNHCR-ის თანადაფინანსებით ხორციელდება და მიზნად ისახავს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქმიანობის ხელშეწყობას.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან თანამშრომლობით დაგეგმილი პროექტის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლებრივი განვითარებისა და კონსულტაციების ჯგუფი" შეარჩევს 30 სტაჟიორს. მათი შერჩევა მოხდება სტაჟირების გავლის მსურველთა მიერ წინასწარ შევსებული ანკეტების შეფასებისა და გასაუბრების საფუძველზე.

სტაჟიორთა შერჩევაში მონაწილეობას მიიღებს კომისია, რომლის შემდაგენლობაშიც შედიან არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საწყის ეტაპზე, სტაჟიორთა შერჩევა მოხდება სოფელ კოდაში და საგარეჯოს რაიონში დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდებისაგან. სტაჟირების გავლის მსურველები უნდა იყვნენ 20-25 წლამდე ასაკის დევნილები, უნდა გააჩნდეთ უმაღლესი განათლება ან იყვნენ სტუდენტები, სასურველია ფლობდნენ უცხო ენას (რუსულს, ინგლისურს) და სასურველია გააჩნდეთ კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

სტაჟიორები ორი თვის განმავლობაში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სისტემასა და არასამთავრობო ორგანიზაციაში გაივლიან სტაჟირებას.

სტაჟირების მეორე ეტაპზე, სტაჟიორთაგან დაკომპლექტდება მობილური ჯგუფები, რომლებიც კარდაკარ დაივლიან საგარეჯოს რაიონის სოფლებს და აღრიცხავენ თითოეულ მოსახლეს (ოჯახს), მოახდენენ დოკუმენტის არმქონე არასრულწლოვნებისა და მათი მშობლების იდენტიფიცირებას. სტაჟიორები გაწეული საქმიაობისათვის მიიღებენ ანაზღაურებას. წარმატებულ სტაჟიორებს გადაეცემათ სტაჟირების დამადასტურებელი სერტიფიკატები და ისინი სააგენტოსა და ორგანიზაციის საკადრო რეზერვში ჩაირიცხებიან.

*საკუთარი ინფორმაცია*


# კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" (ყოფილი "თბილისის წყალი") უპრეცედენტო აქცია გრძელდება

gwp მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი MORE THAN JUST WATER

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" (ყოფილი "თბილისის წყალი") 2009 წლის 20 მაისიდან წამოიწყო კომუნალური მომსახურების სფეროში უპრეცედენტო აქცია - მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობით დაგროვილი **დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის ერთჯერადი მასშტაბური პროგრამა**.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** ითვალისწინებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს და დავალიანების მქონე მოსახლეობას სთავაზობს შეღავათიან რესტრუქტურიზაციას შემდეგი პირობებით:

- პროგრამის მონაწილე ყოველ მომხმარებელს (აბონენტს) კომპანია გაუკეთებს საჩუქარს - ჩამოაწერს დავალიანების საერთო თანხის 20%-ს.

- დავალიანების საერთო თანხის 20% ჩამოეწერება მხოლოდ იმ აბონენტებს, რომლებიც კომპანიას 2009 წლის 30 ივნისის ჩათვლით მიმართავენ განცხადებით.

- დავალიანების დარჩენილი თანხა (20%-ის გამოკლებით) პროგრამის მონაწილეს გაუნაწილდება 3 წლამდე (36 თვემდე) ვადით.

- დავალიანების რესტრუქტურიზაცის თაობაზე კომპანია ყოველ აბონენტთან გააფორმებს ინდივიდუალურ შეთანხმებას.

- პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა.

**გვინდა მოსახლეობას ვაცნობოთ, რომ რესტრუქტურიზაციის პროგრამაში**

## სიახლეა!

კომპანიამ გაითვალისწინა მრავალი მომხმარებლის თხოვნა და რესტრუქტურიზაციის პროგრამას ახალი შეღავათიანი პირობები დაურთო:

**- იმ მომხმარებელს (აბონენეტს), რომელიც ერთბაშად გადაიხდის დავალიანების საერთო თანხის ნახევარს, კომპანია დარჩენილ 50%-ს მთლიანად ჩამოაწერს.**

**- ასევე, კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს დავალიანების რესტრუქტურიზაციისა და დაფარვის სხვადასხვა შეღავათიან კომბინაციას.**

**დამატებითი შეღავათებით შეუძლიათ ისარგებლონ იმ მომხმარებლებმაც, რომლებმაც, რესტრუქტურიზაციის პროგრამაში ჩართვის თაობაზე, კომპანიას უკვე მიმართეს განცხადებით.**

დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის ერთჯერად პროგრამაში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს (მოსახლეობა), რომელსაც მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობით გარკვეული დავალიანება დაუგროვდა.

კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" **(GWP)** მიმართავს მოსახლეობას, გამოიყენოს შეთავაზებული ხელსაყრელი წინადადებები და ჩაერთოს შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის პროგრამაში. თავის მხრივ, კომპანია სამომავლოდ ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, რათა მოხმარებული წყლის საფასურის გადაუხდელობამ არ შეაფერხოს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მოდერნიზაციის სამუშაოები. აღნიშნული, გულისხმობს იმასაც, რომ ძველი დავალიანებების რესტრუქტურიზაცია და მათი ეტაპობრივად და დროულად გადახდა სავალდებულო ხდება როგორც მოსახლეობისთვის, ასევე კომპანიის ყველა სხვა კატეგორიის მომხმარებლისთვის.

დავალიანების შეღავათიანი რესტრუქტურიზაციის პროგრამაში ჩართვის მსურველებს შეუძლიათ მიმდინარე წლის 30 ივნისის ჩათვლით, ყოველდღე კვირის გარდა, მიმართონ კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" **(GWP)** რაიონულ ოფისებს, შემდეგ მისამართებზე:

**- მარჯანიშვილის გამზ. N 53 - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ოფისი, ტელ.: 95 31 08; 96 90 29;**
**- ვ. ბარნოვის I ჩიხი, N10 - მთაწმინდა-კრწანისის რაიონული ოფისი, ტელ.: 92 14 38;**
**- ნუცუბიძის ქ. N 14ა? - ვაკე-საბურთალოს რაიონული ოფისი, ტელ.: 39 42 10;**
**- ჯავახეთის ქ. N22 - ისან-სამგორის რაიონული ოფისი, ტელ.: 73 80 26; 73 80 25;**
**- მეტრო ახმეტელის მიმდ. ტერიტორია, მუხიანისკენ გადასახვევ გზაზე - გლდანი-ნაძალადევის რაიონული ოფისი, ტელ.: 64 37 66.**

*კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP)*
*საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი*

### ნინო ბურჯანაძის სარჩელი პრეზიდენტის წინააღმდეგ უკვე სასამართლოშია

"დემოკრატიული მოძრაობის - ერთიანი საქართველოს" ლიდერის ნინო ბურჯანაძის ადვოკატებმა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი გუშინ შეიტანეს. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე სასამართლოში სარჩელის შეტანას რამდენიმე დღის წინ აპირებდა, თუმცა როგორც პარტიის პრესსამსახურში გამარტავენ, სასამართლოში სარჩელის შეტანა იმის გამო გადაიდო, რომ ადვოკატებს მასში გარკვეული დეტალები ჰქონდათ ჩასამატებელი. ნინო ბურჯანაძე "პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის" მიხეილ სააკაშვილს ჯერჯერობით ქართულ სასამართლოში უჩივის, თუმცა აცხადებს, რომ შემდგომი ინსტანცია სტრასბურგის სასამართლო იქნება. "პრეზიდენტს მოუწევს, ან დაამტკიცოს აბსურდული ბრალდებები, ან პასუხი აგოს ცილისწამებისთვის. სარჩელი შემაქვს ქართულ სასამართლოში, თუმცა იმედი არ მაქვს, რომ სასამართლო დამოუკიდებელი და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანას შეძლებს, ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, სტასბურგის სასამართლოს მივმართავ", - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

*პირველი*

### "ახალი მემარჯვენეების" ადიგენის ორგანიზაციის წევრები დააკავეს

როგორც ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია აცხადებს, დაკავებულები არიან ძმები ბუბა და ვახტანგ კიკაბიძეები და თემურ ფარულავა. მანანა ნაჭყებიას განცხადებით, ორგანიზაციის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებში. მისივე თქმით, ოჯახის წევრებისთვის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის გუშინ დილით გახდა ცნობილი მათი დაკავების მოტივი. "დაკავებულები თითქოს ჩართულნი იყვნენ ჩხუბსა და აყალ-მაყალში, თუმცა ძმები კიკაბიძეები და დათო ფარულავა ცალ-ცალკე იყვნენ და გაუგებარია, როგორ მოახერხებდნენ ისინი ამას," - აცხადებს მანანა ნაჭყებია და თანაპარტიელების დაკავების მორიგ პოლიტიკურ დევნად აფასებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

### შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს პირადობის მოწმობები გადაეცათ

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სკოლის მოსწავლეებს პირადობის მოწმობები გადასცა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების პრობლემის მოგვარების თხოვნით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თბილისის №198-ე სკოლის ხელმძღვანელობამ მიმართა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარმომადგენლებმა მოზარდებს პირადობის მოწმობებისთვის აუცილებელი ფოტოსურათები ადგილზე უფასოდ გადაუღეს და დოკუმენტები დაუმზადეს. პირადობის მოწმობები თბილისის №198-ე სკოლის 30-მდე მოსწავლეს გადაეცა. მინდა მივმართო ყველა მშობელს, რომელთა შვილებსაც დაბადების, პირადობის მოწმობები არ გააჩნიათ, ასეთ შემთხვევაში ბავშვები თავიანთი უფლებების სრულყოფილ რეალიზებას ვერ მოახდენენ. დოკუმენტის ასაღებად მშობლები უნდა გამოცხადდნენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, სადაც ეს დოკუმენტები უფასოდ გაიცემა," - განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

*საკუთარი ინფორმაცია*

### "საპატრულო პოლიცია მოვლენათა განვითარების მიხედვით იმოქმედებს"

თბილისის საპატრულო პოლიცია არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალური პროკურატურის პიკეტირებას დააკვირდება და მოვლენათა განვითარების მიხედვით იმოქმედებს," - აცხადებს თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი გიორგი გეგეჭკორი.

"მოვიდნენ და ჩაატარონ პიკეტირება, ჩვენ კი მოვლენათა განვითარებას დავაკვირდებით და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ. მათ ხელს არავინ უშლის. თუმცა ჯერ მოვიდნენ და ჩაატარონ, თორემ ოპოზიციის გეგმები, როგორც ვიცით, დღეში ათჯერ იცვლება,"- აცხადებს გიორგი გეგეჭკორი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში კი პიკეტირებასთან დაკავშირებით წინასწარ კომენტარს არ აკეთებენ. პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურმა მდივნმა ეკა ბესელიამ განაცხადა, რომ 9 ივნისს რუსთაველის გამზირიდან შსს-სკენ მსვლელობა დაიწყება. "იქვეა გენერალური პროკურატურა და ღამის 24:00 სთ-მდე პიკეტირება გაგრძელდება," - განაცხადა ოპოზიციონერმა ლიდერმა.

*პირველი*

# კერძო აღმასრულებელი - ალტერნატივა თავისუფალი არჩევანისთვის

*კერძო აღსრულების სამსახურის შექმნა იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს რეფორმის შემადგენელი ნაწილია.*
*სააღსრულებო სისტემაში რეფორმის პირველი ეტაპი 2008 წლის ოქტომბერს დაიწყო. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე, სააღსრულებო დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - აღსრულების ეროვნულ ბიუროდ ჩამოყალიბდა. "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში 2008 წელს შესული ცვლილებების შედეგად, სისტემაში ახალი ინსტიტუტი გაჩნდა - კერძო აღსრულება. კერძო აღმასრულებლის ინსტიტუტი 2009 წლის 1 ივლისიდან ამუშავდება. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტაცია 26 მაისს დაიწყო და 9 ივნისს დასრულდება. გამოცდა 20 ივნისს დაიწყება.*
*იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში მიმდინარე ცვლილებების თაობაზე ბიუროს თავმჯდომარე გიორგი ობგაიძე გვესაუბრა.*

**- ბატონო გიორგი, რამ გამოიწვია კერძო აღმასრულებლის სამსახურის აუცილებლობა და კერძო აღმასრულებლად მუშაობის უფლება ვის ექნება?**

- 2008 წელს სისტემაში ძირეული რეფორმები დაიწყო. კერძო აღსრულების სამსახურის შემოღებას რამდენიმე წინაპირობა ახლდა - ევროპულ სტანდარტებზე გადასვლის სურვილი, აღსრულების მაჩვენებლის ეფექტური ზრდა და კონკურენციის აუცილებლობა. კერძო აღმასრულებლობის უფლება იმ ფიზიკურ პირს ექნება, რომელიც ლიცენზიას მოიპოვებს.

**- ვინ და რის საფუძველზე გასცემს ლიცენზიას?**

- ლიცენზიას, ფიზიკური პირის განცხადების საფუძველზე, იუსტიციის სამინისტრო გასცემს. მაძიებლისთვის რამდენიმე პირობის დაკმაყოფილებაა სავალდებულო - უნდა იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, ასევე, "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის თანახმად, უნდა ჰქონდეს სააღსრულებო საქმიანობისთვის შესაბამისი სამუშაო ადგილი და პირობები. "შრომის კოდექსით" დადგენილი წესით, კერძო აღმასრულებელს თანამშრომლის აყვანის და სააღსრულებო საქმანობასთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევის უფლებაც ექნება. სავალდებულოა კიდევ ერთი კომპონენტი - კერძო აღმასრულებელს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ევალება. თუმცა, ლიცენზია იმ ფიზიკურ პირზეც გაიცემა, რომელსაც მოსამართლეთა გამოცდა აქვს ჩაბარებული. ვინც ამ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, ის ლიცენზიას ხუთი დღის ვადაში მიიღებს.

**- ლიცენზიის გაცემა ფასიანია?**

- მოსაკრებელი 200 ლარია. ამას კანონი განსაზღვრავს. კანონითვეა განსაზღვრული კერძო აღმასრულებელთა რეესტრში რეგისტრაცია. აღმასრულებელთა რეესტრში რეგისტრაციისთვის უკვე ლიცენზირებულ პირს უნდა ჰქონდეს - იუსტიციის სამინისტროს საბანკო ანგარიში და ანგარიშის ნომერი, ასევე, სამუშაო ადგილი მინიმალურ დონეზე უნდა აკმაყოფილებდეს სამუშაო პირობებს და უნდა ჰქონდეს პროფესიული დაზღვევა.

**- ესე იგი, კერძო აღმასრულებლის საქმიანობა დაზღვეული იქნება?**

- დიახ და ეს დაზღვევა მისივე კლიენტის ინტერესების დაცვას მოემსახურება. როცა ფიზიკური პირი ყველა დოკუმენტს წარადგენს, სამინისტრო არაუგვიანეს ორ დღეში მაძიებელს რეესტრში გაატარებს. მუშაობის დაწყების წინაპირობაც ეს გახდება.

**- სადაზღვევო თანხის რაოდენობაც განსაზღვრულია?**

- დიახ, სავარაუდოდ 200 000 ლარი.

**- დაზღვევის ოდენობას ვინ განსაზღვრავს?**

- მინისტრის ბრძანების საფუძველზე, იუსტიციის სამინისტრო. სამუშაო პირობების ხარისხსაც იუსტიციის სამინისტრო დაადგენს.

**- ანუ, რეფორმის შედეგად, მოქალაქეს თავისუფალი არჩევანის და ალტერნატიული სამსახურით სარგებლობის უფლება უჩნდება?**

- დიახ. მას შეეძლება სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად ან სახელმწიფო აღმასრულებელი აირჩიოს ან კერძო. კრედიტორი სურვილის მიხედვით ამას თავადვე გადაწყვეტს.

**- ორივე მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია?**

- არა. ერთ კონკრეტულ საქმეზე მხოლოდ ერთ უწყებას შეეძლება სააღსრულებო მომსახურება.

**- კერძო და სახელმწიფო აღსრულებაში საქმეები კატეგორიის მიხედვით გადანაწილდება? ანუ, მოქალაქეს თავისუფალი არჩევანის გაკეთება ნებისმიერი საქმის აღსასრულებლად შეეძლება?**

- კერძო აღმასრულებლები როგორც ფიზიკურ, ასევე, კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის, მხოლოდ კერძო სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს აღასრულებენ.

**- თბილისში მომუშავე კერძო აღმასრულებელს რეგიონის მოსახლეობის მომსახურებაც შეეძლება?**

- დიახ, მას მთელი საქართველოს მასშტაბით მოქმედება შეეძლება. კერძო აღმასრულებელს, სახელმწიფო აღმასრულებლისგან განსხვავებით, ტერიტორიული დაქვემდებარება განსაზღვრული არ ექნება.

**- თუკი საქმის აღსრულების პროცესში პოლიციის დახმარება გახდა საჭირო, კერძო აღმასრულებელმა ვის უნდა მიმართოს?**

- ასეთ შემთხვევაში მან აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციას უნდა მიმართოს. დახმარებას საფასურის გადახდის შემდეგ მიიღებენ. თუ კონკრეტულ შემთხვევაში აღსრულების პოლიცია ადგილზე არ იქნება, კერძო აღმასრულებელი დასახმარებლად შსს-ს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს მიმართავს.

**- კერძო აღსრულება ცხადია, ფასიან მომსახურებას გულისხმობს. გადასახადის რაოდენობა რის საფუძველზე განისაზღვრა?**

- გადასახადთან დაკავშირებით კრედიტორი და კერძო აღმასრულებელი ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმდებიან. ამ მხრივ მათ სრული თავისუფლება აქვთ. თუმცა, მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე, შეზღუდვა მაინც დაწესდა. კრედიტორსა და კერძო აღმასრულებელს შორის დადებული შეთანხმების მიუხედავად, კერძო აღმასრულებელი მოვალისგან იმაზე მეტ საზღაურს ვერ აიღებს, რაც "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონით არის დადგენილი. ამავე კანონით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო აღმასრულებლები.

**- სახელმწიფო აღმასრულებლის მხრიდან გაწეული მომსახურების თანხა კანონით რამდენია?**

- სახელმწიფო აღმასრულებლები მოვალისგან კრედიტორის მოთხოვნის 7 პროცენტს იღებენ.

**- ამ მხრივ, კერძო აღსრულებაში მოვალის ინტერესების დაცვა რა დონეზეა გათვალისწინებული?**

- ლიცენზიის გაცემის დროს, იუსტიციის სამინისტრო კერძო აღმასრულებლისგან პროფესიული დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს სწორედ იმიტომ მოითხოვს, რომ საჭიროების შემთხვევაში, მოვალის ინტერესების დაცვა გარანტირებული იყოს.

კერძო აღმასრულებლის მხრიდან კონკრეტული პირისთვის მიყენებულ ზიანს სადაზღვევო კომპანია დაზღვევის თანხიდან აანაზღაურებს.

გარდა ამისა, თუ კერძო აღმასრულებელი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს, მისი პასუხისმგებლობა საჯარო მოხელისას გაუთანაბრდება.

**- კერძო აღმასრულებელზე კონტროლს ვინ განახორციელებს?**

- აღსრულების ეროვნული ბიურო. თუმცა, შემოწმების ინიციატორი ის ვერ იქნება. კერძო აღმასრულებლის საქმიანობის შემოწმება მხოლოდ მოქალაქის საჩივრის საფუძველზე გახდება შესაძლებელი. დასკვნა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად იუსტიციის სამინისტროში გადაიგზავნება.

**- საკვალიფიკაციო გამოცდებს მხოლოდ კერძო აღმასრულებლები ჩააბარებენ თუ ისინიც, ვინც აღსრულების ეროვნულ ბიუროში უკვე მუშაობენ?**

- გამოცდას ყველა ჩააბარებს - როგორც კერძო, ასევე, სახელმწიფო აღმასრულებელი. აღმასრულებლები, რომლებიც ჩვენთან ამჟამად მუშაობენ, მოვალეობის შემსრულებლები არიან. გამოცდის ჩაბარება, რომელსაც აღსრულების ეროვნული ბიურო ორგანიზატორობს, მათაც ევალებათ. გამოცდა 20 ივნისს დაიწყება და ტესტირების ფორმით ჩატარდება. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსრულველთა საბუთების რეგისტრაცია 26 მაისს დაიწყო და 9 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. მონაწილეს 100 ტესტზე მოუწევს პასუხის გაცემა. სავალდებულო სწორი პასუხი 75 უნდა იყოს. საგამოცდო პროგრამა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა.

**- საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლა ფასიანია?**

- საფასური 200 ლარია. აღსრულების ეროვნული ბიურო ამ გამოცდისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხას ხარჯავს. ჩვენი მიზანია ყველაფერი გამჭვირვალე, ობიექტური და კარგად ორგანიზებული იყოს. გამოცდას დამკვირვებლები დაესწრებიან. ისინი არც ჩვენი თანამშრომლები არიან და არც პროფესიით იურისტები. ნაშრომები სპეციალური კომპიუტერული პროგრამით გასწორდება, რომელიც აღსრულების ეროვნულ ბიუროს ამერიკის იურისტთა ასოციაციამ (ABA) გადასცა.

# მიმართვა მთავარ პროკურორს

*მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა უგზო-უკვლოდ დაკარგული რადიკ ჯამბულოვ იკაევის საქმის მასალები და ვიდეოჩანაწერი გაუგზავნა.*

სახალხო დამცველმა მოითხოვა ინფორმაცია, დაწყებულია თუ არა გამოძიება 2008 წლის აგვისტოს თვეში რადიკ იკაევის უგვზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში კი - დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე გამოძიებისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, -აღნიშნულია ომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის 11 მაისს სახალხო დამცველს მიმართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ , რომელსაც, თავის მხრივ, დახმარებისთვის მიმართა ორგანიზაციამ - რუსეთის სამართლებრივი ინიციატივა (stichting Russian justice Initiative). ეს ორგანიზაცია უგზო-უკვლოდ დაკარგულ რადიკ ჯამბულოვ იკაევის ცხინვალში მცხოვრები მეუღლისა და დედის ინტერესებს იცავს. რადიკ იკაევი ზნაურის რაიონის სოფელ ველევში ცხოვრობდა და დე ფაქტო შს სამინისტროს ზნაურის რაიონის განყოფილებაში პოლიციელად მსახურობდა.

როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განმარტავს, სამი ოსი ეროვნების პიროვნება იხსენებს, თუ როგორ ნახეს რადიკ იკაევი გორის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში ნაცემი. მათ ერთად მოუწიათ საერთო საკანში ყოფნა 2008 წლის 20 აგისტომდე, სანამ ეს სამი პირი არ გაათავისუფლეს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარ პროკურორს და გამოითხოვა ინფორმაცია, დაწყებულია თუ არა აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განმარტებით, დღემდე აღნიშნულ წერილზე პასუხი არ მიუღიათ.

*საკუთარი ინფორმაცია*

# იუშჩენკო უკიდურესი ზომებისთვის მზად არის

მარიკა იაშვილი

პრეზიდენტი იუშჩენკო მზად არის, იულია ტიმოშენკოს ბლოკისა და რეგიონების პარტიის გაერთიანებისთვის ხელის შეშლას მსხვერპლად პრეზიდენტობაც კი შესწიროს, - ამის შესახებ უკრაინის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იუწყებიან. გამოცემა "გლავრედისთვის" პრეზიდენტის კანცელარიიდან ცნობილი გახდა, რომ ამ ნაბიჯით იუშჩენკო აპირებს, წინააღმდეგობა გაუწიოს პრეზიდენტის არჩევის პროცედურასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, დემოკრატიაზე ზეწოლასა და "ორის დიქტატურის" შესაძლო შემოღებას.

წყაროს ცნობით, იუშჩენკო მზად არის, უკიდურეს ზომებს მიმართოს. მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, სახელმწიფოს ახალი მეთაურის არჩევნები 90-დღიან ვადაში უნდა ჩატარდეს. ამასთანავე, გადადგომის შემთხვევაში ქვეყნის ამჟამინდელი ლიდერი ვადამდელ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ველარ შეძლებს.

ცოტა ხნის წინ იუშჩენკო აცხადებდა, რომ კოალიციის შექმნის მიზანია უკრაინის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ეს კი კონკრეტულად პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას შეეხება. იუშენკოს აზრით, ამ ცვლილებების განხორციელება საკონსტიტუციო გადატრიალება იქნებოდა.

მაისის ბოლოს მასმედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ იულია ტიმოშენკოს ბლოკმა და რეგიონების პარტიამ წინასწარ მოილაპარაკეს დიდი შეთანხმების თაობაზე, რომელიც ორი პოლიტიკური ძალის ერთობლივ მოქმედებას, პირველ რიგში კი, საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას ითვალისწინებს, რომლის თანახმადაც ქვეყნის პრეზიდენტს არა პირდაპირი წესით ანუ საერთო ხმის მიცემით, არამედ უმაღლეს რადაში აირჩევენ. მომავალი კოალიციის წევრები შეთანხმების არსებობის ფაქტს არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.



ვიქტორ იუშჩენკო

AFP ' 2009

პარლამენტში იუშჩენკოს წარმომადგენელმა იგორ პოპოვმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი რეგიონების პარტიისა და ტიმოშენკოს ბლოკის კოალიციის შექმნას მხარს იმ შემთხვევაში დაუჭერს, თუ ეს სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნება. ცოტა ხნით ადრე იუშჩენკო ოპონენტებს გაფრთხილებას აძლევდა, რომ თუ ახალი კოალიცია რადაში საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების წინადადებას შეიტანს, ის დაუყოვნებლივ საკონსტიტუციო რეფერენდუმს გამოაცხადებს.

ინფორმირებული წყაროს ცნობით, იულია ტიმოშენკოს ბლოკი და რეგიონების პარტია პარლამენტის მეშვეობით მათთვის სასურველი ცვლილებების განხორციელებას ივლისის დასაწყისამდე ეცდებიან. ვარაუდობენ, რომ ცვლილებების საბოლოოდ დამტკიცება შემოდგომის სესიებზე მოხდება, რის შემდეგაც ისინი საპრეზიდენტო არჩევნებზე გაერთიანებული ძალებით წარდგებიან.

ტიმოშენკოს ბლოკისა და რეგიონების პარტიის ერთობლივი საკონსტიტუციო გეგმების შესახებ ინფორმაცია პირველად გასულ შემოდგომაზე გავრცელდა. მარტის ბოლოს იუშჩენკომ, თავის მხრივ, კონსტიტუციის თავისი პროექტი წარადგინა - კონკრეტულად კი ორპალატიან პარლამენტზე გადასვლა, დეპუტატების რაოდენობის შემცირება და აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში მეტი დამოუკიდებლობის შეტანა.

ტიმოშენკოსა და იანუკოვიჩის მომხრეებს რადაში 450 მანდატიდან 331 ეკუთვნით, რაც საკონსტიტუციო უმრავლესობაა. კოალიციის შექმნას უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების წინ პოლიტიკური მდგომარეობის კარდინალურად შეცვლა შეუძლია. გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნებში ტიმოშენკოს ბლოკი და რეგიონების პარტია ერთიანი ბლოკის სახით აპირებენ მონაწილეობის მიღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად პოლიტიკოსებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი რეგიონების პარტიის ლიდერ ვიქტორ იანუკოვიჩს და პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოს აქვთ. საპრეზიდენტო არჩევნები იანვრისთვის არის დანიშნული, მასში მონაწილეობის სურვილი კი ტიმოშენკომაც გამოთქვა, იანუკოვიჩმაც და იუშჩენკომაც.

ფრაქცია "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" ლიდერი ივან კირილენკო აცხადებს, რომ სახელმწიფო გადატრიალებისა და პოლიტიკურ ძალებს შორის შეთქმულებების შესახებ გავრცელებული ხმები საფუძველს არის მოკლებული.

**"მაისის ბოლო უკვე დიდი ხნის მობეზრებული თემის ირგვლივ ატეხილი მორიგი ისტერიით გამოირჩეოდა: ღალატი, შეთქმულება, გადატრიალება, ხელისუფლების უზურპაცია. ეს უკვე უკრაინის პოლიტიკურ ნიშნად იქცა,"** - განაცხადა კირილენკომ პარლამენტის ტრიბუნიდან.

"ჯერ კიდევ არაფერი მომხდარა და უკვე ყველა შფოთავს. **იულია ტიმოშენკოს ბლოკი უკვე მერამდენედ არის იძულებული, რომ არა მხოლოდ განაცხადოს, არამედ დაამშვიდოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალები - ნუ გეშინიათ და ნუ შფოთავთ, მსგავსი არაფერი მოხდება,"** - განაცხადა კირილენკომ. მისი თქმით, ტიმოშენკოს ბლოკი რჩება და ყოველთვის იქნება უკრაინის იმ პოლიტიკური კრიზისის დარეგულირების მომხრე, რომელმაც დღეისათვის თავისი თავი ამოწურა.

კირილენკოს თქმით, იულია ტიმოშენკოს ბლოკისთვის მთავარი პრობლემა პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის უფლებამოსილების გადანაწილება არ არის. ბლოკის ლიდერის განცხადებით, "ქვეყნის სტაბილური, ცივილიზებული განვითარების ქვაკუთხედად უნდა იქცეს ცენტრსა და ტერიტორიების შორის რეალური ძალაუფლების გადანაწილება ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ."

# დაკარგული თვითმფრინავის კვალი ოკეანეში

მარიკა იაშვილი

ბრაზილიის სამხედრო საჰაერო ძალებმა ქვეყნის სანაპიროდან ათას კილომეტრში ზეთის კვალი და მეტალის ფრაგმენტები აღმოაჩინეს. მათი ვარაუდით, ეს შესაძლოა სამგზავრო ლაინერ A-330 სავარაუდო კატასტროფის კვალი იყოს. ამის შესახებ ინფორმაცია ბრაზილიის სამხედრო საჰაერო ძალების პრესსამსახურის უფროსმა, პოლკოვნიკმა ჟორჟი ანტონიუ ამარალამ ადგილობრივი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში განაცხადა.

ფრანგული ავიაკომპანიის "ეარ ფრანსის" ლაინერი ატლანტის ოკეანის თავზე ორშაბათს დაიკარგა. ის რიო დე ჟანეიროდან პარიზში მიფრინავდა. თვითმფრინავის ბორტზე 228 ადამიანი იმყოფებოდა. ავიაკომპანიამ უკვე მგზავრების ოფიციალური სია გამოაქვეყნა.



ბრაზილიის სამხედრო-საჰაერო ძალები ძებნას განაგრძობენ

AFP ' 2009

დაკარგული თვითმფრინავის ერთ-ერთი შესაძლო მგზავრის მობილური ტელეფონი ჯერ კიდევ მუშაობს. ამის შესახებ მისმა მეუღლემ, დიდ ბრიტანეთში მცხოვრებმა ქალმა განაცხადა.

აერობუსის შესაძლო კატასტროფის კვალი თვითმფრინავებიდან რადარების მეშვეობით სან პაულუ-ისან-პედრუს არქიპელაგის რაიონში დაფიქსირდა. ის სანაპირო ქალაქ ნატალიდან ჩრდილოეთის შტატ რიუ-გრადნე-დუ-ნორტის ადმინისტრაციული ცენტრიდან, დაახლოებით, 1010 კილომეტრით არის დაშორებული.

ბრაზილიის სამხედრო საჰაერო ძალების პრესსამსახურის უფროსის თქმით, აღმოჩენილია თვითმფრინავის სავარძელი და ნავთობის კვალი. მეტალის ფრაგმენტები ადგილობრივი დროით 5:25 საათზე აღმოაჩინეს. ზოგი მათგანი ერთმანეთისგან 60 კილომეტრით არის დაშორებული.

ბრაზილიური მხარის ცნობით, იმის თქმა, ეკუთვნის თუ არა ფრაგმენტები დაკარგულ ავიალაინერს, მხოლოდ მას შემდეგ გაირკვევა, რაც ადგილზე სამხედრო საზღვაო ძალები მივლენ. ისინი შესაძლო კატასტროფის ადგილზე მისვლას ოთხშაბათისთვის შეძლებენ.

ბრაზილიის სამხედრო საჰაერო ძალების წარმომადგენელთა განცხადებით, საბოლოო დასკვნის გაკეთება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც იპოვიან თვითმფრინავის ნაწილს, რომელზეც მისი ნომერი ან წარწერა "Air France" იქნება განთავსებული.

კატასტროფის სავარაუდო ადგილის დასათვალიერებლად 10 საჰაერო ხომალდია გამოყოფილი.

# ისრაელის და რუსეთის მცდელობები

მოსკოვში გუშინ დაიწყო ისრაელის ვიცე-პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ავიგდორ ლიბერმანის ოფიციალური ვიზიტი. ლიბერმანის პარტია "ჩვენი სახლი ისრაელი" ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ისრაელში ჩასული რეპატრიანტების ინტერესების ერთ-ერთი მთავარი დამცველია. თვითონ ავიგდორ ლიბერმანიც ყოფილი "საბჭოელია". ბოლო არჩევნებზე მიღწეული წარმატების შემდეგ, "ჩვენი სახლი ისრაელი" პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს პარტია "ლიკუდის" საკვანძო პარტნიორია სამთავრობო კოალიციაში.

ლიბერმანი ამ სტატუსით პირველად ეწვია რუსეთს და საერთოდ ის ისრაელიდან პირველი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეა, რომელიც ახალი კაბინეტის შექმნის შემდეგ რუსეთში ჩავიდა. ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მიმართ ორი ქვეყნის განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, მას უმაღლეს დონეზე მასპინძლობენ. თავის კოლეგა სერგეი ლავროვთან მოლაპარაკებების დაწყებამდე ლიბერმანი პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა მიიღო. შეხვედრა "დახუნძლული იყო" იყო დიპლომატიური რევერანსებით. მედვედევმა განაცხადა, რომ **"რუსეთისთვის სულერთი არ არის, როგორ მიდის საქმეები ისრაელში - სახელმწიფოში, სადაც ბევრი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს"** და **"ახლო აღმოსავლეთში ძალიან ბევრი რამეა დამოკიდებული ისეთ საკვანძო მოთამაშეზე, როგორიც ისრაელია."** საპასუხოდ ლიბერმანმა განაცხადა, რომ **"ჩვენ რუსეთში ვხედავთ ერთ-ერთ მთავარ პარტნიორს რეგიონული პრობლემებისა და პალესტინის საკითხის მოგვარების საქმეში."** ლიბერმანი ისტორიულ წარსულსაც გადასწვდა და გაიხსენა ორი ქვეყნისა და ხალხის თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები მეორე მსოფლიო ომის დრომდე. უფრო საქმესთან ახლოს ლიბერმანმა განაცხადა, რომ **"ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს - ჰუმანიტარულიც, სამხედროც და პოლიტიკური საკითხებიც. ეს ყველაფერი პრიორიტეტი იქნება და შევეცდებით, ისინი პოზიტიურად გადავწყვიტოთ."**



AFP ' 2009

*ავიგდორ ლიბერმანი ვლადიმირ პუტინსაც შეხვდა*

მოლაპარაკებების დაწყებამდე საგარეო საქმეთა მინისტრებმა სერგეი ლავროვმა და ავიგდორ ლიბერმანმა განაცხადეს, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობა ისედაც მაღალ დონეზეა და საჭიროა მისთვის ახალი ხარისხის მინიჭება. როგორც მოსალოდნელი იყო, ლიბერმანმა ახალი კაბინეტის სახელით დაადასტურა ისრაელის კურსის მემკვიდრეობითობა, რაც მოსკოვთან "სტრატეგიული დიალოგის განვითარებას" ითვალისწინებს.

ვიზიტის წინ ექსპერტთა უმრავლესობა ერთსულოვანი იყო იმაში, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარების პერსპექტივების შესახებ საკმაოდ მძიმე დიალოგია მოსალოდნელი. ისრაელი არ მალავს თავის გაღიზიანებას რუსეთისა და პალესტინელი რადიკალების, კერძოდ მოძრაობა "ჰამასის" კონტაქტების გამო, რომელიც საერთოდ არ აღიარებს ისრაელის არსებობის უფლებას და რომელსაც ისრაელი ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს. ამის გამო თავისი იმედგაცრუება ნეთანიაჰუს კანცელარიამ ოფიციალურად გამოხატა. სერგეი ლავროვმა პასუხად განაცხადა, რომ ნებისმიერ კონფლიქტში საჭიროა არა მხარეების იზოლირება, არამედ მათი ჩართვა მოლაპარაკებების პროცესში. რუსულ დიპლომატიას იმის იმედი აქვს, რომ წლის ბოლომდე მოსკოვში ჩაატარებს საერთაშორისო კონფერენციას ახლო აღმოსავლეთის საკითხზე და იქ პალესტინის ადმინისტრაციისა და თვით ჰამასის დაპატიჟებასაც აპირებს. ამისი "შესავალი" იყო ლავროვის შეხვედრა მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ჰალედ მაშაალთან. რუსეთის მხარის განცხადებით, მაშაალთან შეხვედრამ აჩვენა, რომ ისინი **"სიტუაციას ადრინდელზე უფრო რეალისტურად აფასებენ და ჰამასი გრძნობს პასუხისმგებლობას არა მარტო ღაზას სექტორში არსებულ ვითარებაზე, არამედ მთელი პალესტინელი ხალხის ბედზე".** ლავროვმა განაცხადა, რომ ეს შეხვედრა გამოიყენა პალესტინელთა ერთიანობის ხელშეწყობისათვის, რაც თავის მხრივ სამშვიდობო პროცესს წაადგება. ისრაელი კი კატეგორიულად აცხადებს, რომ უარს იტყვის კონფერენციაში მონაწილეობაზე, თუ იქ პალესტინელი რადიკალები ჩავლენ.

ისრაელის შეშფოთებას იწვევს რუსეთისა და სირიის თანამშრომლობა, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში. ებრაელებს მიაჩნიათ, რომ დამასკოსთვის მოსკოვის მიერ იარაღის მიწოდება არღვევს სტრატეგიულ ბალანსს რეგიონში, აძლიერებს ანტიისრაელურ განწყობას და, რაც მთავარია, არ არსებობს გარანტია, რომ ეს იარაღი მოძრაობა "ჰესბოლას" ხელში არ აღმოჩნდება. რთული მოლაპარაკებების კიდევ ერთი საკვანძო საკითხი ალბათ ირანის ბირთვული პროგრამა გახდება. როგორც ლიბერმანმა ისრაელიდან გამოფრენის წინ განაცხადა, **"ჩრდილოეთ კორეაში ამჟამად განვითარებული მოვლენების კონტექსტში საჭიროდ მიმაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლების ყურადღება ირანის პრობლემისკენ მივაპყროთ."**

თავის მხრივ რუსეთი ლიბერმანის წინაშე აუცილებლად დააყენებს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების საკითხს. რუსეთს, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა სახელმწიფოს, მიუღებლად მიაჩნია იქ ასეთი დასახლებების გაფართოება. ამ საკითხს ნეთანიაჰუს ვაშინგტონში ვიზიტის დროს ბარაკ ობამაც შეეხო და ნეთანიაჰუს მშენებლობის შეჩერება მოსთხოვა. ისრაელს მიაჩნია, რომ პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული დასახლებების საკითხი მოლაპარაკებების ზოგად კონტექსტში უნდა გადაწყდეს. მანამდე ახალი დასახლებები არ აშენდება, ხოლო უკვე არსებულების ბუნებრივი გაფართოება, იქ მცხოვრებთათვის ნორმალური პირობების შექმნის მიზნით, არ შეიზღუდება. ყოველ შემთხვევაში, ნეთანიაჰუმ ობამას სწორედ ასეთი პასუხი გასცა.

შედარებით უკეთესია ისრაელ-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების პერსპექტივები. ზოგიერთი ცნობით, ლიბერმანი აპირებს, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და კულტურული საკითხები რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე აიყვანოს. უახლოეს პერიოდში რუსეთს საქმიანი ვიზიტით ისრაელის კიდევ ოთხი მინისტრი ეწვევა.

გუშინვე მედვედევმა და ლიბერმანმა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის გზებიც განიხილეს. უცხოური შეკვეთების შემცირების გამო ორივე ქვეყანა მნიშვნელოვნად ზარალდება, რადგან მათ ეკონომიკაში ექსპორტის წილი დიდია - ოღონდ რუსეთი ნედლეულს ყიდის, ისრაელი კი მაღალტექნოლოგიურ პროდუქციას.

*"ბი-ბი-სის" მიხედვით*
*მოამზადა ივა შილაკაძემ*

# პაკისტანის არმიამ მოსწავლეები გაათავისუფლა

მარიკა იაშვილი

პაკისტანის არმიის წარმომადგენლებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მებრძოლებმა ბოევიკების მიერ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გატაცებული რამდენიმე ათეული მოსწავლის გათავისუფლება შეძლეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორშაბათს კადეტთა სკოლის მოსწავლეებით სავსე რამდენიმე ავტობუსი ბოევიკებმა გააჩერეს და მგზავრები გაიტაცეს.

არმიის წარმომადგენლების განცხადებით, გათავისუფლებულია 80 მოსწავლე და მასწავლებელი.

პაკისტანის ოფიციალური პირები ვარაუდობენ, რომ თალიბები ასეთი გზით ცდილობენ, მოწინააღმდეგეთა ყურადღება ქვეყნის ჩრდილოეთში მიმდინარე ბრძოლებიდან სხვა პრობლემებზე გადაიტანონ.

როგორც პაკისტანის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი, გენერალ-მაიორი ატარ აბასი აცხადებს, სამხედროებმა ბოევიკებს ცეცხლი მაშინ გაუხსნეს, როდესაც ისინი მძევლების სამხრეთ ვაზირისტანში გადაყვანას ცდილობდნენ.



AFP ' 2009

*მძევალი მოსწავლეები გათავისუფლების შემდეგ*

მისი თქმით, ბოევიკებმა მიმალვა მოახერხეს, მაგრამ ყველა მოსწავლე გათავისუფლებულია.

ჯერ კიდევ უცნობია, სულ რამდენი ადამიანი გაიტაცეს ორშაბათს, რადგან რეგიონიდან მოსული რაიმე სახის ინფორმაციის გადამოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია.

რამდენადაც ცნობილია, 30 მიკროავტობუსისგან შემდგარი კოლონა, რომელიც მოსაწავლეებითა და მასწავლებლებითი იყო სავსე, ჩრდილოეთ ვაზირისტანის Razmak Cadet College-დან ქალაქ ბანუში მიდიოდა. დანიშნულების ადგილს მხოლოდ ორმა მიკროავტობუსმა მიაღწია.

თვითმხილველთა განცხადებით, ავტოკოლონა გზაში კარგად შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფმა გააჩერა.

პაკისტანის არმია ახლა სვატის ველიდან ბოევიკების განდევნას ცდილობს.

ხელისუფლების განცხადებით, ოპერაციის დაწყებიდან დღემდე, დაახლოებით, თვენახევრის განმავლობაში შეტაკებების შედეგად 1200-ზე მეტი ბოევიკი და 90-მდე სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

სვატის ველი თალიბებმა პირველად 2007 წელს დაიკავეს. მას შემდეგ პაკისტანის ამ ულამაზეს ნაწილში, რომელიც ერთ დროს ქვეყნის ტურისტული ცენტრი იყო, შეტაკებები მუდმივად გრძელდება. 2007 წლიდან ახალი ბრძოლების დაწყებამდე სვატში 1000-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ათასობით პაკისტანელი კი იძულებული გახდა, საცხოვრებელი მიეტოვებინა და დევნილად ქცეულიყო.

CMYK - 9


FREE INDUSTRIAL ZONE
RAKIA GEORGIA
No limits
Absolute freedom for your business
Easy business set up
First free industrial zone in Caucasus
Strategic location beside the Poti Sea Port
No tax on profit for foreign companies
POTI FIZ
www.rakiageorgia-freezone.com
RAKIA Georgia FIZ LLC (Poti Head Office)
47 Agmashenebeli str, 4400, Poti, Georgia
Tel: (995 393) 25 25 4/5/6
Fax: (995 393) 25 25 1/9
RAKIA Georgia FIZ LLC (Tbilisi Representative)
20 Telavi str, 0103, Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 27 77 33
Fax: (995 32) 27 73 73
E-mail: info@rakiageorgia-freezone.com
www.rakiageorgia-freezone.com

CMYK - 9



## აფიშა

3 ივნისი

**თეატრი**

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
ძალად ექიმი
რეჟ: გ. ჟორდანია
დასაწყისი: 19.00

**თეატრი სხვენში**
სასიყვარულო ბარათები
რეჟ: თ. ჩხეიძე
დასაწყისი: 20.00

**კინო**

**ამირანი**
აწყვეტილები 4
დასაწყისი: 12.00; 18.30; 20.30;
ზღაპრები ძილის წინ
დასაწყისი: 12.30
როდესაც მას არ უყვარხარ
დასაწყისი: 14.00; 22.15;
ანგელოზები და დემონები
დასაწყისი: 14.00; 17.00; 20.00; 22.15

**გამოფენები**

**კლუბი 24**
მსოფლიო პრესის ფოტოგამოფენა

**ბაია გალერეა**
ვანო ბუღაძის გამოფენა
მინოტავრი - პიეტა - სად მიცურავ გემი?
(ფერწერა, გრაფიკა);

**თიბისი გალერეა**
რუსუდან ჯავრიშვილის პერსონალური გამოფენა

**სამხატვრო აკადემია**
გია ბუღაძის სახელოსნოს სტუდენტების გამოფენა

**ვერნისაჟი**
ხოხო ქუმხიაშვილის პერსონალური გამოფენა
(ფერწერა).

**მეიდან არტ ჰოლი**
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია
(ფერწერა, ქანდაკება)

**გალერეა შარდენი**
თანამედროვე ტიხრული მინანქრის ხელოვნების გამოფენა
(სამკაული, მინიატურა, ხატი);

**მანანა არტ სალონი**
თანამედროვე ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა

**გალერეა კამეა**
ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, ფაიფური, მინანქარი);

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ტიხრული მინანქრის გამოფენა-გაყიდვა.

# ქართული კინო რუსეთის ეკრანებზე

## მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართული ფილმებიც მონაწილეობენ

ია ვეკუა

პოლიტიკური თუ ზნეობრივი საზღვრების არსებობის მიუხედავად, საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული საზღვრების მოშლა ვერა და ვერ ხერხდება. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ივნისში დაგეგმილი მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე არათუ ქართული წარმოების ფილმები მონაწილეობს, არამედ საბჭოთა პერიოდის ქართული კინო სპეციალური პროგრამითაცაა წარმოდგენილი. მთავარ საკონკურსო პროგრამაში კი დიტო ცინცაძის მედიატორია ჩართული.







დიტო ცინცაძის მედიატორი ეკრანებზე შარშან გამოვიდა, ჩვენება კი მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა. კინოსტუდია სანგუკოს ბაზაზე ქართველი და უცხოელი მსახიობების მონაწილეობით გადაღებული ფილმი ნამდვილად ვერ აღმოჩნდა ცინცაძის საუკეთესო ნამუშევარი, მიუხედავად იმისა, რომ ფილმს მსოფლიო კინოსთვის ნაცნობი, თუმცა ჩვენთვის მაინც საინტერესო სტრუქტურული წყობა ჰქონდა. იდუმალებით მოცული მკვლელობის (მოკლულს ბრიტანელი მსახიობი იუენ ბრემნერი თამაშობდა) კვალდაკვალ რამდენიმე ადამიანის ცხოვრება იკვეთება, პარალელურად კი მოზაიკის ფიგურებივით ვაგროვებთ დეტალებს, რომელიც საქმის გახსნაში ჩვენ და გიორგი ნაკაშიძის გამომძიებელს ერთნაირად უნდა დაგვეხმაროს. თუმცა კვანძის გახსნას ბოლომდე მაინც ვერ ვახერხებთ - რეჟისორი მაინც გვიტოვებს მასალას განსჯისთვის.

დიტო ცინცაძის მისტიკურ-დეტექტიური ფილმი, როგორც უკვე გითხარით, ფესტივალის ძირითად საკონკურსო პროგრამაშია ჩართული. მის გარდა პირვლობისთვის კიდევ 14 ქვეყნის 15 ფილმი იბრძოლებს: რუსულ კინემატოგრაფს ალექსანდრე პროშკინის სასწაული, ნიკოლაი დოსტალის პეტია ცათა სასუფევლისკენ და ჩეხოვის ნაწარმოების ეკრანიზაცია, კარენ შახნაზაროვის პალატა #6 წარმოადგენს. დანარჩენი ფილმების ჩამონათვალი ასეთია: ბიბი (ირანი), გამოხდომა (უნგრეთი), როგორც ღმერთი ინებებს (იტალია), ლამაზმანი (იაპონია), პატარა მოსკოვი (პოლონეთი), კირა მურატოვას მელოდია არღნისთვის (უკრაინა), წამება ცეცხლში (ისრაელი), უგზოუკვლოდ დაკარგული (აშშ), ხუთი დღე ნორას გარეშე (მექსიკა), გილოცავთ ახალ წელს! (შვეიცარია) და დღეს და ყოველთვის (სამხრეთ კორეა). ძირითადი პროგრამის ჟიურის თავმჯდომარე პაველ ლუნგინი იქნება.

ავსტრიელ რეჟისორ რობერტ დორნჰელმს დაევალება ფესტივალის მეორე ძირითადი პროგრამის პერსპექტივების ჟიურის თავმჯდომარეობა. ამ პროგრამაში 12 ფილმია წარმოდგენილი. მთლიანობაში მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალს 24 პროგრამა აქვს, მათ შორისაა სადებიუტო პროგრამა, რომელშიც ასევე მონაწილეობს ქართული ფილმი, ვანო ბურდულის გასეირნება ყარაბაღში 2: კონფლიქტის ზონა . ეს ფილმი საქართველოს კინოეკრანებზე მარტის ბოლოს გამოვიდა და როგორც ვარაუდობდნენ, პოპულარობაც უნდა მოეპოვებინა. ფილმს ამისთვის თითქოს ყველაფერი ჰქონდა: კარგი რეჟისურა, ძალიან კარგი ოპერატორული ნამუშევარი, აკა მორჩილაძის მიერ შექმნილი საინტერესო პერსონაჟები და რაც მთავარია მაყურებელი, რომელიც საყვარელი ისტორიის გაგრძელებას ელოდა. თუმცა მოხდა ისე, როგორც სიკვლების შემთხვევაში ხდება ხოლმე - ფილმი მაყურებელმა პირველთან შედარებით ცივად მიიღო, ყველაზე დიდი პრობლემა კი ფილმს 9 აპრილს დაწყებულმა აქციებმა შეუქმნა - ქალაქის ორი ცენტრალური კინოდარბაზი ამირანი და განსაკუთრებით რუსთაველი მიტინგების გამო ნორმალურად ფუნქციონირებას ველარ ახერხებდნენ.

როგორც ფესტივალის პროგრამების დირექტორმა კირილ რაზგოლოვმა განაცხადა, თითქმის ყველა საკონკურსო ფილმის პრემიერა სწორედ მოსკოვის საფესტივალო ეკრანებზე შედგება. ფილმების არჩევისას ორი ძირითადი პრინციპით ვხელმძღვანელობდით. ფილმი უნდა ყოფილიყო მხატვრულად ხარისხიანი და ნოვატორული. მოსკოვის კინოფესტივალს აქვს პრეტენზია ახალი სახელები აღმოაჩინოს, ამიტომ ვცდილობთ, ძირითად პროგრამებში ახალგაზრდა რეჟისორების ფილმები წარმოვადგინოთ , - განაცხადა მან. რაზგოლოვს არც ის დაუმალავს, რომ მაყურებელი არა ერთ შოკის მომგვრელ და სრულიად წარმოუდგენელი სიუჟეტის მქონე ფილმსაც ნახავს. ასეთი ფილმები კი ძირითადად პროგრამა პერსპექტივებშია თავმოყრილი, რადგან ძირითადი პროგრამა გაცილებით აკადემიური ხასიათის ნამუშევრებითაა დაკომპლექტებული.

მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამებს შორისაა ქართული კინოს რეტროსპექტივა. წარმოდგენილი იქნება მიხეილ ჭიაურელის, თენგიზ აბულაძის, ელდარ და გიორგი შენგელაიების, ალექსანდრე რეხვიაშვილის, რეზო ესაძისა და სხვათა ფილმები. სპეციალური პროგრამების ფარგლებში გაიმართება ბოლივუდის პროდუქციის ჩვენება თანამედროვე ინდური კინო და ბულგარული ფოკუსი - ბულგარეთის თანამედროვე კინემატოგრაფი .

კინოფესტივალი 19 ივნისს გაიხსნება და 28 ივნისამდე გასტანს. ფესტივალს პაველ ლუნგინის ფილმი მეფე გახსნის, რომელშიც ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ოლეგ იანკოვსკი და პეტრე მამონოვი თამაშობენ.

მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალი 1959 წლიდან იმართება. მართალია, რუსები გამუდმებით ამტკიცებენ, რომ მოსკოვის ფესტივალის დაყენება თამამად შეიძლება კანის, ბერლინისა და ვენეციის კინოფორუმებს შორის, A კლასის ფესტივალამდე ჯერ ბევრი უკლიათ. თუმცა საამაყო მაინც აქვთ - ფედერიკო ფელინის 8 1/2-მა პირველი საერთაშორისო აღიარება სწორედ მოსკოვში მოიპოვა.

# გურამ ოდიშარიას ხელოვნება

ზაზა ფაჩუაშვილი

*ცნობილი სოხუმელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გურამ ოდიშარიას ახალი წიგნის გუშინდელ პრეზენტაციაზე კავკასიურ სახლში როსტომ ჩხეიძემ თქვა, ეს არის გურამის ხელოვნებაო. საქმე მხოლოდ კონკრეტულ რომანს არ ეხება. საუბარია მწერლის შემოქმედების მთავარ და ურყევ პრინციპზე - სიმართლეზე. თავის დოკუმენტურ პროზაში ის იმგვარ შეუფერადებელ სიმართლეს წერს, რომ ერთმანეთზე გაცოფებულ მტრებსაც კი სინანულის ცრემლად ღვრის. ესეც გაუფერადებელი სიმართლეა.*




მსახიობმა დიმა ჯაიანმა გაიხსენა სოხუმის თეატრის სპექტაკლის - "ზღვა, რომელიც შორია" - სოჭში ჩვენება. მოგეხსენებათ, რომ ამ გახმაურებული წარმოდგენის სცენარის ავტორი გახლავთ გურამ ოდიშარია, რეჟისორი - თემურ ჩხეიძე. სიუჟეტი ვითარდება აფხაზეთში, სადაც მამის საფლავის მოსანახულებლად ჩასული ქართველი ლტოლვილი თავის აფხაზ ბავშვობის მეგობარს ხვდება და მასთან გამართული დისკუსიის ტრაგიზმის მონაწილე ხდება. ტრაგიზმი იმ სიმართლეშია, ქართველი და აფხაზი ერთმანეთს რომ საყვედურობენ.

სპექტაკლის დაწყების წინ გამოსულა სოჭის მერი და თავისი კრემლისებური სიტყვით ქართველები ძალიან გაულიზიანებია. მაგრამ სპექტაკლი მაინც ვითამაშეთო, ბრძანა ბატონმა დიმიტრიმ. დასასრულის პირს დარბაზში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდნილა, რომელსაც, თურმე, მხოლოდ შეუკავებელი ქვითინის ხმა არღვევდა. მაგრამ ამ საერთო ორომტირილშიც კი ყველასგან გამორჩეული ყოფილა სოჭის მერის საქციელი.

**დიმა ჯაიანი**: "ჩემი გმირი ბოლოს რომ ამბობს, - რამდენიმე წლის შემდეგ აქ აფხაზურ სიტყვასაც კი ვერ გაიგონებო, - რუს ჩინოვნიკს, მითუმეტეს ახლა, ხომ არ უნდა მოწონებოდა, მაგრამ სოჭის მერი სცენაზე ისეთი ცრემლის ღვრით ამოვიდა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა და ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხა ისე ჩავიდა".

ეს არის გურამ ოდიშარიას ხელოვნება. მის უდაოდ მართალ სიტყვაზე სხვა გამომსვლელებმაც ისაუბრეს. მათ შორის მათ ვინც თავად დარწმუნდა, თუ როგორი ავტორიტეტული და პატივცემულია ბატონი გურამი თავად აფხაზეთში, რასაც ყველა მისი შემოქმედების ამ თვისებით ხსნის.

ახალი რომანიც დოკუმენტური პროზაა - "სათვალიანი ბომბი". ტელეოპერატორის კადრებით გაამბებული წიგნი მოიცავს ყველაფერს სოხუმიდან რუსთაველის გამზირამდე. როგორც როსტომ ჩხეიძემ თქვა, სიუჟეტი, - მამის მკვლელის მიმართ შურისძიებით გამსჭვალული ადამიანის გარდაქმნა, - სხვასთან შეიძლება გულუბრყვილობა გამოსულიყო, მაგრამ გურამ ოდიშარიას ხელში ეს არის სიმართლე.

გარდა სიმართლისა მწერლის თაყვანისმცემლებს ტრადიციულად უდიდესი სიამოვნება ელით: ახალი სიტყვები, ფრაზები, ხელწერა, აფორიზმული დატვირთვა მსგავსად ამისა, - **"კარგია მტერი - მას მოწინააღმდეგის გადარჩენა შეუძლია".**

ამის მერე მაინც ხომ უნდა მიხვდეს კაცი რას ნიშნავს სახარებისეული, - **"გიყვარდეს მტერი შენი!"**

# ბრიუსელში რენე მაგრიტის მუზეუმი გაიხსნა

ბრიუსელში ბელგიელი მხატვარ-სიურეალისტის, რენე მაგრიტის პირველი მუზეუმი გაიხსნა. ის ქალაქის ცენტრში, სამეფო მოედანზე არსებული ნატიფი ხელოვნების ბელგიის სამეფო მუზეუმის ერთ-ერთ შენობაში განთავსდა.

მაგრიტის მუზეუმის კოლექციის ძირითადი ნაწილი სამეფო მუზეუმში დაცული მხატვრის ნამუშევრებისგან შედგება. ექსპოზიციისთვის ნამუშევრები რამდენიმე კერძო კოლექციონერმაც გაიმეტა . მაგრიტის მუზეუმში სულ 250-მდე ნამუშევარია თავმოყრილი. აქვე ფუქციონირებს მუზეუმთან არსებული სამეცნიერო ცენტრი, რომელიც მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევით არის დაკავებული.




რენე მაგრიტი იყო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი მხატვარ-სიურეალისტი. გარდა ამისა, მან სახელი გაითქვა, როგორც მახვილგონივრული გრაფიკული რეკლამების ავტორმა. მის ნამუშევრებზე, როგორც წესი, სრულიად რეალისტური გამოსახულებებია მოცემული, მაგრამ მათ შერწყმას მხატვარი იმდენად უცნაურად და თავისებურად ახდენს, რომ ნაწარმოებები თავსატეხს ემსგავსება. თავად მაგრიტი ამბობდა, რომ მისი მთავარი ამოცანა იყო მნახველი დაეფიქრებინა.

ის 1898 წლის 21 ნოემბერს, ბელგიის ქალაქ ლესინში დაიბადა. ბავშვობა და ახალგაზრდობა მან ქალაქ შარლერუაში გაატარა. მას მძიმე ცხოვრება ჰქონდა. 1912 წელს დედამისი მდინარეში დაიხრჩო, რამაც მომავალ მხატვარზე, როგორც ჩანს, დიდი გავლენა იქონია. მაგრიტმა ბავშვობიდან სხვა მოგონებებიც გამოიყოლა , რომელთა დიდი ნაწილი ამდენად მძაფრი და ტრაგიკული არ ყოფილა, მაგრამ იდუმალებით კი გამოირჩეოდა. ამასთან, მხატვარი თავად აღნიშნავდა, რომ ისინი მის შემოქმედებაში აისახა.

მაგრიტმა ორი წელი ბრიუსელის ნატიფი ხელოვნების სამეფო აკადემიაში ისწავლა, რომელიც 1918 წელს მიატოვა. ამ პერიოდში მან გაიცნო ჟორჟეტა ბერგერი, რომელიც 1922 წელს ცოლად შეირთო და მასთან მთელი ცხოვრება გაატარა. მაგრიტი ქაღალდის ფაბრიკაში პლაკატებისა და რეკლამების მხატვრად იქამდე მუშაობდა, სანამ კონტრაქტი არ გააფორმა ბრიუსელის გალერეასთან სენტო და ყველაფერი მხატვრობას მიუძღვნა.

1926 წელს მაგრიტმა შექმნა სიურეალისტური ნამუშევარი დაკარგული ჟოკეი , რომელიც პირველ წარმატებად მიაჩნდა. პირველი პერსონალური გამოფენა მან 1927 წელს მოაწყო. კრიტიკოსებმა ის წარუმატებლად აღიარეს და მაგრიტი ჟორჟეტასთან ერთად პარიზში გაემგზავრა, სადაც ანდრე ბრეტონი გაიცნო და სურეალისტების დაჯგუფებაში გაერთიანდა. აღსანიშნავია, რომ აქ მან თავისი ინდივიდუალურობა არ დაკარგა, მაგრამ სურეალისტებთან დაახლოვებამ მასზე გავლენა მაინც იქონია და მხატვარს შესაძლებლობა მისცა იმისა, რომ მისი საფირმო თავისებური სტილი შეემუშავებინა. მხატვარი არ ერიდებოდა კამათს სხვა სურეალისტებთან, მაგალითად: მაგრიტს უარყოფითი დამოკიდებულება ქონდა ფსიქოანალიზთან და განსაკუთრებით მის გამოხატულებასთან ხელოვნებაში. მართლაც, მისი შემოქმედების ბუნება არა იმდენად ფსიქოლოგიურია, რამდენადაც ფილოსოფიურ-პოეტური და უფრო პარადოქსალურ ლოგიკაზეა დაფუძნებული.

მოგვიანებით მან გაწყვიტა კონტრაქტი გალერეასთან, ბრიუსელში დაბრუნდა და ერთი პერიოდი რეკლამებზე მუშაობდა. შემდეგ ძმასთან ერთად გახსნა სააგენტო და მუდმივი შემოსავლის წყარო გაიჩინა. თვალშისაცემია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ბელგიის ოკუპაციის პერიოდში ის ცვლის ნამუშევრების ფერადოვან გამას და რენუარის სტილისტიკას უახლოვდება. თუმცა, ომის შემდეგ მაგრიტი ასეთ მზიან სტილში ხატვას წყვეტს და ომამდელი ნახატების კოლორიტს იბრუნებს. მაგრიტი 1967 წლის 15 აგვისტოს სიმსივნით გარდაიცვალა და დაუმთავრებელი დატოვა ახალი ვარიანტი მისი, შესაძლოა, ყველაზე ცნობილი ნამუშევრის სინათლის იმპერიისა .

ოსტატი ისწრაფვოდა თავის შემოქმედებაში გადაეწყვიტა რეალური სამყაროს აღქმასთან დაკავშირებული პრობლემა, გაეაზრებინა განსხვავება გამოსახულსა და რეალურს შორის, ამიტომაც მაგრიტი ხშირად იყენებდა ნახატში სარკის, ფანჯრის, თვალის, სცენის ან ფარდის გამოსახულებებს.

რენე მაგრიტის მუზეუმის გახსნა 9 ივნისს იგეგმებოდა, მაგრამ დამთვალიერებლს მხატვრის ათეულობით ნამუშევრის ნახვის საშუალება გუშინ მიეცა. ექსპოზიციის კურატორები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული კოლექცია დამთვალიერებელთა დიდ რაოდენობას დააინტერესებს, მით უფრო, რომ ეს მხატვარი ბრიუსელში განსაკუთრებით პოპულარულია.

# შიშველი მადონა ვერ გაიყიდა

## მომღერლის დაკუნთული ფორმები საინტერესო აღარაა

აუქციონის სახლმა McTear's-მა, გლაზგოში გამართულ აუქციონზე შოტლანდიელი მხატვრის პიტერ ჰოუსონის ნახატის "მადონა და გაი" გაყიდვა ვერ შეძლო. ტილომ, რომელზეც მადონა და მისი ყოფილი მეუღლე გაი რიჩი შიშვლად არიან გამოსახულნი, მყიდველისთვის მნიშვნელოვანი ინტერესი ვერ გამოიწვია. ნახატზე მადონა დაჩაჩანაკებულ და დაუძლურებულ კულტურისტს უფრო ჰგავს, რომლის ბარძაყზეც დაყრდნობილი გაი რიჩი - სადღაც შრეკსაც მოგვაგონებს. სურათზე რამდენიმე შეთავაზების განცხადება იყო მიმაგრებული, თუმცა ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო მყიდველი მინიმალური თანხის - 15 ათასი ფუნტი სტერლინგის გადახდაზე დაეთანხმებინა. ნახატი მყიდველებისთვის ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია, თუმცა დამატებითი აუქციონის მოწყობას McTear's-ი აღარ აპირებს.



"მადონა და გაი" ჰოუსონმა 2005 წელს დახატა, სურათი მის მიერ შექმნილ მომღერლის შიშველი პორტრეტების ციკლშია შესული. რაც შეეხება მის მიერ 2004 წელს დახატული ფეხბურთელის - ჰენრიკ ლარსონის პორტრეტს, მისი გაყიდვა 40 ათას ფუნტად გახდა შესაძლებელი. პიტერ ჰაუსონის ნამუშევრები ბევრი პოპულარული ადამიანის კერძო კოლექციაში ინახება, მათ შორის მიკ ჯაგერის, დევიდ ბოუისა და თავად მადონას სახლშიც.

შოტლანდიელი მხატვრის ნამუშევრისგან განსხვავებით, მადონას შიშველ მდგომარეობაში 1979 წელს გადაღებული ფოტოსურათი Christie's აუქციონზე 37,5 ათას დოლარად გაიყიდა. არადა აუქციონის ორგანიზატორები მის გაყიდვას სულ რაღაც 15 ათას დოლარად გეგმავდნენ. Christie's-ს ხელმძღვანელების ინფორმაციით, აქამდე მადონას ფოტო არც ერთ აუქციონზე ასე ძვირად არ გაყიდულა. მყიდველმა, რომელმაც მომღერლის ფოტოში რეკორდული თანხა გადაიხადა, ანონიმურობა არჩია. გაყიდული ფოტოსურათი ცნობილმა ამერიკელმა ფოტოგრაფმა ლი ფრიდლენდერმა 1979 წელს გადაიღო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მადონას კარიერა დაწყებული არ იყო, მოცეკვავედ მუშაობდა და თავი ძლივს გაჰქონდა. ფოტოსესიისთვის მაშინ მადონას მხოლოდ 25 დოლარი გადაუხადეს, ხოლო 1985 წელს, როცა მან უკვე მსოფლიო პოპულარობა მოიპოვა, ფრიდლენდერის მიერ გადაღებული ფოტოები ჟურნალმა Playboy-მ დაბეჭდა. "ფრიდლანდერისთვის ეს ტიპიური ფოტოა. მას ძალიან უყვარს ბუნებრივი ქალები. აქ არ არის ვნების ნატამალი და სწორედ ეს აძლევს ნამუშევარს მხატვრულ ძალას", - აღნიშნა აუქციონის ფოტოგრაფიის საქმეთა მმართველმა მეტიუ ჰამერმა. როგორც თავად ფოტოგრაფი აღნიშნავს, ფოტოების გადაღების დროს მადონამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი საკუთარ თავში ძალიან დარწმუნებული იყო და მიწაზე მყარად იდგა. "მან მითხრა, რომ როკ-ჯგუფის შექმნას აპირებდა, თუმცა ამისთვის ყურადღება რა მიმიქცევია, რადგან ასეთ ასაკში ყოველი მეორე ცდილობს ჯგუფის შექმნას. ის ძალიან კარგი და პროფესიონალი მოდელი იყო", - გაიხსენა ფრიდლანდერმა.

აღსანიშნავია, რომ გასულ ზაფხულს პოპ-დედოფალი მადონა თავის მეორე მეუღლეს, ბრიტანელ კინორეჟისორს გაი რიჩს გაშორდა და მრავალშვილიან მარტოხელა დედად იქცა. ამის მიუხედავად იგი ჟურნალმა Forbes-მა შოუ-ბიზნესის ყველაზე მაღალანაზღაურებად დედად დაასახელა. გამომცემლობის ინფორმაციით, 2008 წელს მომღერლის შემოსავალმა 110 მილიონი დოლარი შეადგინა, რომელიც მან უკანასკნელი ალბომის Hard Candy-სა და მის მხარდამჭერ მსოფლიო ტურნეს Sticky & Sweet-ის ("წებოვანი და ტკბილი") წყალობით მოაგროვა.

### კახეთში სამონასტრო კომპლექსებს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდება

ნეკრესის, ალავერდის და გურჯაანის ყველაწმინდის სამონასტრო კომპლექსებს სარესტავრაციო სამუშაოები 2009 წელს ჩაუტარდება. ამის შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკა ვაჩეიშვილმა განაცხადა.

ოფიციალური ინფორმაციით, სარესტავრაციო სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება. ვაჩეიშვილის თქმით, სამუშაოებზე ადგილობრივებიც დასაქმდებიან.

*მედიანიუსი*

### სიღნაღში ამერიკელი მხატვრის ნახატებია გამოფენილი

პიკასოს ნახატების პარალელურად, სიღნაღის მუზეუმის მცირე დარბაზში ჯონ უერდემანის ნახატებიცაა გამოფენილი.

ეს მისი მე-3 პერსონალური გამოფენაა საქართველოში. მხატვრის ფერწერული ტილოები, სადაცDძირითადად სიღნაღისა და მისი შემოგარენის ყოფა-ცხოვრებაა ასახული, მუზეუმის საგამოფენო დარბაზში შემოდგომის ბოლომდე დარჩება.

ჯონ ჰენრი უერდემანი, სანტაფეში, ნიუ მექსიკოს შტატში დაიბადა და 12 წელია სიღნაღში ცხოვრობს.

*მედიანიუსი*

### სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე ბერლინში გაემგზავრა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ჯონი აფაქიძე ბერლინში გაემგზავრა.

ჟონი აფაქიძე ბერლინის პრეისტორიული არქეოლოგიის ინსტიტუტის 50 წლითავთან დაკავშირებით გახსნით ცერემონიალზეა მიწვეული, სადაც სოხუმის სახლემწიფო უნივერსიტეტის რექტორი სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაშიც მიიღებს მონაწილეობას. კონფერენცია პრეისტორიული არქეოლოგიური ჟურნალის დაარსებიდან 100 წლისთავს ეძღვნება.

სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი გერმანიის ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის წლიურ ფორუმსაც დაესწრება, სადაც ჰუმბოლდტის ფონდის ხელმძღვანელობა, გერმანული სამეცნიერო ფონდების ხელმძღვანელები და ჰუმბოლდტის სტიპენდიატები მიიღებენ მონაწილეობას.

*მედიანიუსი*

### ამიერკავკასიაში გერმანიის დღეები იწყება

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2009 წელი ამიერკავსიაში გერმანიის დღეებად გამოაცხადა და ის მთელი წლის განმავლობაში, ამ ქვეყნებში არსებული გერმანიის საელჩოებისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის საშუალებით, მრავალ საინტერესო ღონისძიებას გეგმავს.

9 ივნისს საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი 2009 წლის გერმანიის დღეების პირველ ღონისძიებას ჩაატარებს, სახელწოდებით "ისტორიული ქალაქის სათუთი ურბანული განახლება და სამოქალაქო საზოგადოება". სიმპოზიუმზე ქართველი და გერმანელი სპეციალისტები ისტორიული ქალაქის ურბანული განახლების სათუთ გზებზე იმსჯელებენ. ამასთან ერთად, წარმოდგენილი იქნება რუმინეთის ქ. სიბიუში გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (Gთძ) მიერ ჩატარებული და მრავალგზის პრემირებული პროექტი. გოეთეს ინსტიტუტში გამოიფინება ამ პროექტის დოკუმენტური გამოფენა. მასში ნაჩვენებია როგორც საკითხების საწყისი მდგომარეობა, ისე მათი მრავალმხრივი, ინტეგრირებული გადაწყვეტა და მეთოდური გზები.

ამ სიმპოზიუმით მნიშვნელოვანია იმ მთავარი დედააზრის გადმოტანა, რომ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ეკონომიკური განვითარება ერთმანეთის კონკურენტები კი არ არიან, არამედ ისინი ერთად უნდა განიხილებოდეს. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იქნება ისტორიული ქალაქის ურბანული განახლების წარმატებული პროექტები, მათ შორის თბილისის და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ შემუშავებული "პლეხანოვის" უბნის სათუთი განახლების თეორიული პროექტი.

სიმპოზიუმის მსვლელობისას ნაჩვენები იქნება, თუ როგორ შეიძლება მოსახლეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ამ პროცესებში ჩართვა. ეს ღონისძიება ემსახურება აქტუალური სიტუაციის აღწერასა და შეჯამებას, რის შედეგადაც მომავალ წელს უფრო მასშტაბური ევროპული პროექტის ჩატარება იგეგმება.

*დასწრება თავისუფალია. 24 საათი"*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება. ქ. საგარეჯოში ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავების, მონახვეტისა და საოჯახო ნარჩენების გატანის, სკვერების, გამწვანების ზოლების და ექსპლუატაციისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე.

2. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ერთიანი ანგარიში საგადასახდო (საგარეჯო): ა/ნ 200122900. ს/კ. 231255129 მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი 220101222 სახაზინო კოდი 300553174: გადახდის დანიშნულება ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

3. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 22 ივნისის 15.00 სთ.მდე შემდეგ მისამართზე: 3800 საქართველო ქ. საგარეჯო დ. აღმაშენებლის N9, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა I სართული საფინანსო საბიუჯეტო სამსახური.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 22 ივნისის 10.00-საათიდან 2009 წლის 23 ივნისის 16.00საათამდე. პაკეტები გაიხსნება 2009 წლის 23 ივნისს 16.00საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები (სუბკონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ასევე მათ) უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**6. იურიდიული პირებისათვის:**

6.1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს სანაციის ან გაკოტრების საქმის წარმოება.

6.2. ცნობა საჯარო რეესტრიდან ყადაღის არ არსებობის შესახებ.

6.3. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

6.4. მონაწილის იურიდიული სტატუსი, საბანკო რეკვიზიტები და რეგისტრაციის ადგილი.

6.5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**7. ფიზიკური პირებისათვის**

7.1 ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

7.2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და ინდ მეწარმის რეგისტრაციის საბუთი.

7.3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**8. როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირებისათვის:"**

8.1) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

8.2) ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ.

8.3) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის და ინკასოს არ არსებობის შესახებ.

9. ზემო აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული (შედგენილი), წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

10. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია, შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

11. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება და ასლი.

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელდება გამარჯვებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს საუკეთესო პირობებს, ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო დოკუმენტს.

13. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია, სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ პრეტენდენტებს.

14. სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.

15. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

16. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნენ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

17. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მოგვმართოთ: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა ტელ: 895-33-92-92 გიორგი ბეჟიტაშვილი.

სატენდერო კომისია

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12) აცხადებს ტენდერს ბავშვზე ზრუნვის 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღების ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტია: ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები, რეინტეგრაციის შემწეობის და შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების მიმღები ოჯახების ბავშვების დასვენება-გაჯანსაღება საქართველოს კურორტებზე არანაკლებ 12 დღის განმავლობაში.

*შენიშვნა:*

***- ბენეფიციართა სია პრეტენდენტებს გადაეცემა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.***

***- ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება უნდა გაეწიოს 9-დან 18 წლამდე ასაკის არანაკლებ 250 ბავშვს.***

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2009 წლის 1 ივლისიდან 2009 წლის 30 სექტემბრამდე.

4. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ 2009 წლის 23 ივნისის 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც გადაიხდიან 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელს შემდეგ ანგარიშზე: სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302003174, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-4 სართული, ოთახი N413.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად) უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 24 ივნისს, 10-დან 13 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მე-6 სართული, სააქტო დარბაზი. ***დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.***

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის თაობაზე და დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის შესახებ, რომ სათანადო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

6.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ მსგავსი პროგრამის განხორციელების გამოცდილების შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

ბ) ინფორმაცია საკურორტო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ სადაც განხორციელდება პროგრამა (დამტკიცებული აუდიტის მიერ), მისამართი, შენობის გეგმა, შენობის საკუთრების და/ან სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ვიდეო და/ან ფოტომასალა საკურორტო ორგანიზაციების შესახებ სადაც უნდა განხორციელდეს მომსახურება;

დ) პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ავტოსატრანსპორტო მომსახურებისათვის აუცილებელია წარმოდგენილი იქნას: ხელშეკრულება, სათანადო დოკუმენტი ავტოტრანსატრანსპორტო საშუალების გამართულობის შესახებ და მომსახურების ლიცენზია. სარკინიგზო და საავიაციო სამგზავრო გადაზიდვის შემთხვევაში რაიმე დოკუმენტის წარმოდგენა საჭირო არ არის.

7. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნას ერთი ეგზემპლარად ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

8. მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

9. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

10. განცხადების 6.1. და 6.2. პუნქტებში მითითებული ცნობები გაცემული უნდა იყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები).

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის (სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის (ხელშეკრულების 2%-ის ოდენობით) მექანიზმი, საბანკო გარანტიის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის სახით.

14. ტენდერში მონაწილებისი მსურველ პირებს *სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე*, შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413.

15. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-12 პუნქტითა და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები/დოკუმენტები შემდგომ დაზუსტებას/შევსებას ***არ ექვემდებარება***.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მაია ბუჩუკური ტელ.: 932854, ალექსანდრე მამალაძე, გულსუნდა ონიანი ტელ.: 936629; მისამართზე: ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N12, მეოთხე სართული, ოთახი N413, N416.

სატენდერო კომისია

# სპორტი

## ესტონური ვერცხლი

გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის ტარტუ როკმა ესტონეთის ჩემპიონატის ფინალური სერია კალევთან დათმო და ჩემპიონის ტიტულიც დაკარგა.

ქართველთა გუნდმა მთელი სეზონი მაღალ დონეზე ჩაატარა და პლეი-ოფების წინ ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა. კალევთან ფინალურ მატჩში როკს საკუთარი მოედნის უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ ცინცაძისა და სანიკიძის გუნდმა ორი მატჩი წააგო საკუთარ მოედანზე. მართალია, პირველი წაგების შემდეგ, ქართული დუეტის ფანტასტიკური თამაშის წყალობით, როკერებმა სტუმრად გაიმარჯვეს და საკუთარი მოედნის უპირატესობაც დაიბრუნეს, მაგრამ სერიის მეხუთე მატჩი, რომელიც ტარტუში გაიმართა, კალევმა მოიგო და თითქმის გადაწყვიტა კიდეც ყველაფერი.

სერის მეექვსე შეხვედრა კალევში გაიმართა და დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. მატჩის მიწურულს მასპინძლებმა უკეთ ითამაშეს და 68:65 დაამარცხეს როკერები, რითაც სერია ანგარიშით 4:2 მოიგეს და ჩემპიტონის ტიტულს დაეუფლნენ.



*ცინცაძე ესტონურ ვერცხლს დასჯერდა*

ყველაფერი ძველი სცენარით წარიმართა - ტარტუელები დასაწყისში იგებდნენ, თუმცა შემდეგ ტალინელები გამოცოცხლდნენ. დიდ შესვენებაზე უკვე კალევი ლიდერობდა, გადამწყვეტი მეოთხედის წინ კი ანგარიში თანაბარი იყო - 52:52.

ბოლო მეოთხედში თანაბარი და დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. ტარტუელებს გიორგი ცინცაძე წინამოძღოლობდა, რომელმაც ბოლო წუთზე 65:64 დააწინაურა თავისიანები. დარჩენილ დროში მასპინძლებმა იძალეს და 3 ქულით გაიმარჯვეს.

მატჩის ბომბარდირი გახდა ცინცაძე, რომელმაც 35 წუთში 26 ქულა მოაგროვა. მას ასევე 3 მოხსნა, ამდენივე ჩაჭრა და 1 პასი დაუგროვდა. ცინცაძემ 14-დან 7 ორიანი, 2-დან ორივე სამქულიანი და 8-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

როგორიც სჩვევია, ისეთი თამაში ვერ აჩვენა ვიქტორ სანიკიძემ, რომელმაც ფარზე კი იმუშავა და 7 მოხსნა დააგროვა, მაგრამ ერთადერთი ქულით დაასრულა თამაში. სანიკიძე 22 წუთს იყო მოედანზე და თამაშიდან სამივე სროლა ააცილა, 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

მაშ ასე, ზედიზედ ორი ჩემპიონობის შემდეგ გიორგი ცინცაძემ ესტონეთში ფინალი დათმო და ვერცხლს დასჯერდა. ვიქტორ სანიკიძისთვის კი ეს სადებიუტო სეზონი იყო როკში .

## მილანი - ახალი გუნდი ახალი მიზნებით

იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში ფლორენციაში მოპოვებული გამარჯვებით მილანმა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ერთწლიანი პაუზის შემდეგ ჩემპიონთა ლიგას უბრუნდება, მგრამ უბრუნდება საგრძნობლად სახეშეცვლილი. გუნდი დატოვა კარლო ანჩელოტიმ. მომავალ სეზონში როსონერის ბრაზილიელი ლეონარდო უხელმძღვანელებს. რაც შეეხება სატრანსფერო ჭორ-მართალს, აქ საქმე მეტისმეტად არეულია და ვინ სად ითამაშებს, ამას მომავალ სეზონში მხოლოდ დრო გვიჩვენებს. კახა კალაძემ საკუთარ ვერგვერდზე სეზონის უკანასკნელ მატჩსა და გუნდის მომავალზე ისაუბრა.

**- პირველ რიგში ჩემპიონთა ლიგაზე ვისაუბროთ. მომავალ წელს ბრუნდებით ლიგაში. ეს უდიდესი სტიმულია. რას გრძნობ?**

- სიხარულს. კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. ყოველთვის სასიხარულოა ევროპაში თამაში, თუმცა დიდი განსხვავებაა, უეფას თასზე თამაშობ თუ ჩემპიონთა ლიგაში. კმაყოფილი ვარ მე და ვიცი, რომ ასევეა გუნდიც. ჩვენ ვიბრძოლეთ და ზოგიერთ შემთხვევაში გაგვიჭირდა კიდეც, თუმცა ყოველთვის გვჯეროდა. ვიშრომეთ და საბოლოოდ მივედით მიზნამდე. რა თქმა უნდა, ბევრჯერ დავუშვით შეცდომა. შეგვეძლო უფრო მეტის გაკეთება და, ტრავმები რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ჩემპიონის ტიტულისთვისაც გვებრძოლა... მაგრამ ყველაფერი ასე მოხდა. ახლა ვისვენებთ, დღენს ვთიშავთ. ზოგი ჩემსავით იმუშავებს კიდევ იმისთვის, რომ მზად იყოს სეზონის დასაწყისისთვის. შემდეგ დიდი ენთუზიაზმით ყველანი გადავეშვებით ახალ სეზონში.



*კალაძე ანჩელოტის დაემშვიდობა*

**- რა განცდა დაგიტოვა კარლო ანჩელოტისთან დამშვიდობებამ, როგორი ადამიანი იყო ის შენთვის?**

- კარგი ადამიანი. მწვრთნელი, რომელმაც ბევრი მისცა ამ გუნდს, რომელთან ერთადაც ბევრი რამ მოიგო. იყოჩაღა გუნდმა, მაგრამ იყოჩაღა მანაც, როდესაც მოახერხა უამრავი სიტუაციის მართვა. ხშირად წერდნენ მასთან ჩემი უთანხმოების შესახებ, მაგრამ რომელ სამსახურში არ იმართება დისკუსიები? თუ ოდესმე რაიმე მომხდარა, ყოველთვის საუკეთესო სახით და გონივრულად გადაწყვეტილა. დღეს სევდიანი ვარ მისი წასვლით. ჩემთვის მნიშვნელოვანია ამის თქმა, რადგან სულ უფრო უკეთ ვახერხებდი მის გაცნობას. ამავე დროს მივესალმები ახალ მწვრთნელს - ლეონარდოს.

**- რამდენად ძნელი იქნება ახალ სეზონთან შეხვედრა?**

- არა მგონია, რომ სიძნელეებზე უნდა ვისაუბროთ. რა თქმა უნდა, შეიცვლება გუნდის მართვა, შეიცვლება ზოგიერთი სახე, ზოგიერთი მოთამაშე, აღარ იქნება მოედანზე პაოლო მალდინი, თუმცა ენთუზიაზმი ყოველთვის ისეთივე იქნება. პირიქით, ვფიქრობ, რომ როდესაც რაღაც იცვლება, ყველას იმის სტიმული აქვს, რომ უფრო მეტი გაიღოს, წარმოაჩინოს თავი ახალი მწვრთნელის წინაშე. როგორც ადრე ვამბობდი, ჩვენი სამიზნე იქნება როგორც ჩემპიონთა ლიგა, ისე ჩემპიონატი. მოგვიწევს ბრძოლა სხვადასხვა გუნდებთან, როგორებიცაა "ინტერი , "რომა", "ფიორენტინა" და "იუვენტუსი . შეიძლება აუტსაიდერებიც გამოერიონ. ყოველ შემთხვევაში, ყველანი გავერთობით.

### ცვლილებების მოლოდინი

რაგბის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ მორიგ რეიტინში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 70.39 ქულით მე-13 ადგილი შეინარჩუნა, თუმცა, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ბორჯღალოსნები მომავალ კვირაში აუცილებლად დაემშვიდობებიან მე-13 ადგილს.

საქართველოს სარაგბო ნაკრები ჩერჩილის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას და 6 ივნისს კანადის ნაკრების წინააღმდეგ გამართული მატჩის შედეგი აუცილებლად აისახება ჩვენი გუნდის რეიტინგზე.

თუ ბორჯღალოსნებმა ჩრდილოამერიკელები 1-15 ქულით დაამარცხეს, 71.25 სარეიტინგო ქულას მოაგროვებენ და მე-12 ადგილზე მყოფ იტალიის ნაკრებს გაასწრებენ. ცხადია, იგივე მოხდება, თუ ჩვენმა გუნდმა უფრო დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. უბრალოდ, მაშინ მეტ სარეიტინგო ქულას დავარგოვებთ.

თუ საპირისპირო მოხდა და გაიმარჯვა კანადის ნაკრებმა, საქართველოს ეროვნულ გუნდს 69.25 ქულა მოუგროვდება და, კანადის გარდა, ტონგასაც წინ გაუშვებს, რითაც მე-15 ადგილზე აღმოჩნდება.

გასულ უქმეებზე კანადელებმა ტორონტოს იორკ სთედიუმზე 8 450 მაყურებლის თვალწინ უელსელებს უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში 23:32 დამარცხდნენ.

| | |
|---|---|
| 1.ახალი ზელანდია | 92.68 |
| 2.სამხრეთ აფრიკა | 89.45 |
| 3.ავსტრალია | 85.86 |
| 4.ირლანდია | 83.27 |
| 5.არგენტინა | 81.56 |
| 6.ინგლისი | 80.96 |
| 7.უელსი | 80.74 |
| 8.საფრანგეთი | 79.94 |
| 9.ფიჯი | 75.24 |
| 10.შოტლანდია | 75.23 |
| 11.სამოა | 72.57 |
| 12.იტალია | 71.23 |
| **13.საქართველო** | **70.39** |
| 14.ტონგა | 70.05 |
| 15.კანადა | 68.96 |
| 16.იაპონია | 68.05 |
| 17.რუსეთი | 66.57 |
| 18.რუმინეთი | 64.26 |
| 19.აშშ | 63.55 |
| 20.ურუგვაი | 63.16 |
| 21.პორტუგალია | 62.16 |
| 22.ესპანეთი | 59.01 |
| 23.ჩილე | 57.95 |
| 24.ს.კორეა | 57.90 |
| 25.ნამიბია | 56.82 |
| 26.გერმანია | 55.35 |
| 27.ყაზახეთი | 55.12 |
| 28.ბრაზილია | 54.97 |
| 29.პოლონეთი | 54.42 |
| 30.უკრაინა | 54.17 |

### ცხადაძემ შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს 21 წლამდელთა ნაკრები 5 ივნისს ამხანაგურ მატჩში მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებს უმასპინძლებს. თამაში რუსთავის "ფოლადის" სტადიონზე 17:30 საათზე დაიწყება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ შეხვედრისთვის მოემზადებიან.

**მეკარეები:** როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი"), რევაზ თევდორაძე ("გაგრა"), გიორგი ლოსაბერიძე ("დინამო").

**მცველები:** გულვერდ თომაშვილი ("დინამო"), ლევან კაკუბავა ("დინამო"), გურამ ადამაძე ("ვიტ ჯორჯია"), დავით ხურცილავა ("ვიტ ჯორჯია"), ლაშა თოთაძე ("დინამო", უკრაინა), ამირან სანაია ("ლე მანი", საფრანგეთი), გიორგი ხიდეშელი ("ზესტაფონი"), ვალერი იობაშვილი ("მარტვილი").

**ნახევარმცველები:** ვაჟა ნემსაძე ("დინამო"), ვალერი ბოლქვაძე ("დინამო"), გიორგი განუგრავა (უკლუბოდ), ირაკლი კლიმიაშვილი ("ვიტ ჯორჯია"), თორნიკე თარხნიშვილი ("სპარტაკი"), თემურ შონია ("სპარტაკი"), ნიკოლოზ მაისურაძე ("სპარტაკი"), ზაქარია ბეგლარიშვილი (უკლუბოდ), დავით თარგამაძე ("ფრაიბურგი", გერმანია).

**თავდამსხმელები:** გიორგი ჭედია ("მგლები"), მიხეილ ბარაბაძე ("ჰიკ", ფინეთი), ვახტანგ ფანცხავა ("ლე მანი", საფრანგეთი).

### გერმანელმა გოგონამ ქართველ ფეხბურთელს გაუპატიურება დააბრალა

გერმანიის საფეხბურთო კლუბის მიუნხენ 1860 - ის 22 წლის მცველს მათე ღვინიანიძეს გერმანელმა გოგონამ გაუპატიურებისთვის უჩივლა. გერმანული ბილდის ინფორმაციით, მათე და მისი მეგობარი, ორ გოგონასთან ერთად, მიუნხენის პრესტიჟულ ღამის კლუბ pi1-ში იმყოფებოდნენ, საიდანაც ბინაში გადაინაცვლეს. ბილდის ინფორმაციით, დილით ერთ-ერთმა გოგონამ პოლიციაში დარეკა და განაცხადა, რომ ღვინიანიძემ გააუპატიურა. პოლიციამ ქართველი ფეხბურთელი საკუთარ სახლში დააკავა, თუმცა რამდენიმე საათში გაათავისუფლა. ბილდის მტკიცებით, დადასტურდა, რომ მათე ღვინიანიძე უდანაშაულოა, რადგან პოლიციამ ისე გაათავისუფლა, რომ მოსამართლის წინაშე არ წარუდგენია. ღვინიანიძის ადვოკატის კარლ ჰერცოგის განცხადებით, ის ზემოხსენებული გოგონას მიმართ გარკვეულ სამართლებრივ ქმედებებს განახორციელებს, რადგან ახალგაზრდა ქალბატონი ღვინიანიძის ხარჯზე საყოველთაო ყურადღების მიპყრობას ცდილობდა.

### გამოქვეყნდა კლუბების რეიტინგი

ფეხბურთის საერთაშორისო ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ ბოლო ერთი წლის საუკეთესო კლუბების რეიტინგი გამოაქვეყნა. ჩემპიონთა თასის აღების მიუხედავად, ბარსელონა კვლავ მეორე ადგილზე დარჩა. მიუნხენის ბაიერნი მე-6 ადგილზე გავიდა მსოფლიო კლუბებს შორის 238 ქულით. საუკეთესო კლუბების ათეული კი ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1.მანჩესტერი | 298 |
| 2.ბარსელონა | 277 |
| 3.ლივერპული | 259 |
| 4.ბოკა ხუნიორსი | 259 |
| 5.ჩელსი | 249 |
| 6.ბაიერნი | 238 |
| 7.სან პაულუ | 230 |
| 8.არსენალი | 227 |
| 9.ინტერი | 215 |
| 10.შახტარი | 212.5 |

### მარიო ფრიკმა "სიენა" დატოვა

ლიხტენშტაინის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი მარიო ფრიკი იტალიურ სიენას ახალი კონტრაქტის თაობაზე ვერ მოელაპარაკა და კლუბი დატოვა. კლუბის ყველა წარმომადგენელს, რომელთანაც განვლილ პერიოდში ურთიერთობა მქონდა, მინდა მადლობა გადავუხადო. სიენაში მართლაც საუცხოო პერიოდი გავატარე. სერია A-ში სამჯერ შევინარჩუნეთ ადგილი, რაც ჩვენთვის სკუდეტოს მოპოვების ტოლფასი იყო. თანაგუნდელებთან, კლუბის ხელმძღვანელობასთან და გულშემატკივრებთან ჰარმონიული ურთიერთობა მქონდა, - თქვა 34 წლის ფრიკმა, რომელიც ლიხტენშტაინის პირველი წარმომადგენელია, ვისაც სერია A-ში უთამაშია.

### აგუერო წასვლას არ აპირებს

Marca იუწყება, რომ ახალგაზრდა არგენტინელის სერხიო აგუეროს მიმართ, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება, არაერთი საფეხბურთო გრანდი იჩენს ყურადღებას, თუმცა ყველაზე მეტად მილანის ინტერი აქტიურობს. მიუხედავად ამისა, სერხიო აგუერო მომავალი სეზონის წინ გუნდის დატოვებას არ აპირებს. მარადონამ მითხრა, რომ იბრაჰიმოვიჩისთვის კარგი პარტნიორი ვიყავი და ხალხი ამბობს, რომ ინტერში გადავალ, თუმცა არავითარი ოფიციალური მიწვევა არ მიმიღია. როგორც ადრე ვამბობდი, ატლეტიკოში თავს საუცხოოდ ვგრძნობ, ქომაგები კარგად მეპყრობიან და აქ დარჩენა მინდა. ფანებს არ სურთ, რომ მე, ფორლანმა, მაქსიმ და სიმაუმ კლუბი დავტოვოთ. ყოველი მოთამაშე თავად იღებს გადაწყვეტილებას და საკუთარ თავს უკვე ვუთხარი, რომ ატლეტიკოში დარჩენა მინდა, - დასძინა აგუერომ.

### თანამშრომლობის შეწყვეტა

ტურინის იუვენტუსი იჯარის ვადას არ გაუგრძელებს ხორვატ მცველ დარიო კნეჟევიჩს. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ იუვენტუსი კნეჟევიჩთან თანამშრომლობას არ გააგრძელებს. დარიოს ლივორნოში დაბრუნების სურვილი არ ექნება. ასე რომ, რაღაც ზომების მიღებაა საჭირო. რამდენიმე თვის წინ კნეჟევიჩი სხვადასხვა შეთავაზებებით დააბნიეს, მაგრამ ჩვენ ველოდით, რომ იუვენტუსი ლივორნოსაგან მისი ტრანსფერის გამოსყიდვას მოისურვებდა. დარიოს იტალიაში დარჩენა სურს, რადგან შეიძლება უახლოეს მომავალში ამ ქვეყნის მოქალაქე გახდეს. ვნახოთ, როგორ წინადადებებს მივიღებთ ამჯერად, - განაცხადა ფეხბურთელის მენეჯერმა სანინ ორგკოვიჩმა.

# მანჩესტერი ისევ ყველაზე შემოსავლიანი კლუბია



*ასე გამოიყურება პრემიერლიგის კლუბების შემოსავლები 2008-09 წლების სეზონში*

2008-09 წლების სეზონში მანჩესტერ იუნაიტედის შემოსავალმა 90 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა და სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი ისევ რჩება ბრიტანეთის ყველაზე მდიდარ კლუბად.

ციფრები ნათელი დასტურია იმისა, რომ პრემიერლიგის დიდი ოთხეულის გუნდებმა, ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ამ სეზონში სატელევიზიო ტრანსლაციების გაყიდვითა და ჩემპიონთა ლიგის წყალობით მიღებული თანხის ხარჯზე საკუთარი შემოსავლები გასულ წლებთან შედარებით გაზარდეს. ამავე ციფრებზე დაყრდნობით შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რამდენად სამართლიანად ნაწილდება სატელევიზიო ტრანსლაციებით შემოსული თანხა პრემიერლიგის ოც გუნდზე.

არც ის უნდა იყოს ინტერესმოკლებული, თუ რა არის კლუბების შემოსავლის ძირითადი წყარო.

**პრემიერლიგის ფულადი ბონუსები** - ჩემპიონი იღებს 15.2 მილიონ გირვანქა სტერლინგს, მე-20 ადგილზე გასული გუნდი - 761 000. შემოსავლები ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან - 13.9 მილიონი გირვანქა სტერლინგი თითოეულ გუნდს, პლუს 480 000 თითოეულ თამაშზე. უცხოური ტელეკომპანიები, სპონსორები და ლიცენზირების თანხა, თითოეულ კლუბზე 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

**ევროპა** - ჩემპიონთა ლიგა (შემოსავლები ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან, პლუს ბონუსები ტურნირში ნაჩვენები შედეგების მიხედვით), უეფას თასი (შემოსავლები ტელეტრანსლაციების გაყიდვიდან, პლუს ბონუსები ტურნირში ნაჩვენები შედეგების მიხედვით).

**ინგლისის თასი** - საპრიზო ფონდი (მესამე რაუნდში მონაწილეობისთვის 75 000 გირვანქა სტერლინგი, გამარჯვებული იღებს 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს). სატელევიზიო ტრანსლაციები (160 000 გირვანქა სტერლინგიდან 275 000 გირვანქა სტერლინგამდე ერთი მატჩისთვის). ლიგის თასი - 100 000 გირვანქა სტერლინგი მატჩის ტრანსლაციისთვის ტელეეთერში.

# რელაქსაცია მალიორკაზე

კვირა საღამოს საფრანგეთის ღია პირველობაზე შვედ რობინ სადერლიგნთან სენსაციური მარცხის შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი რაფაელ ნადალი მშობლიურ მალიორკაზე დაბრუნდა.

მთელი ორშაბათი ნადალმა დასვენებას დაუთმო, თუმცა განტვირთვის დღეც წაგებით დაიწყო - დამარცხდა საკუთარ მწვრთნელთან, რომელიც ამასთანავე მისი ბიძაა. განცდილი მარცხი ჩოგბურთელმა მეგობრებთან ერთად პლაჟზე აღნიშნა .

ტურნირის დასვენების დღეებში მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნაც მოასწრო. 2005 წლის შემდეგ ასეთი რამ პირველად მოხდა. პრესკონფერენციაზე ნადალმა განაცხადა, რომ მოხიბლულია პარიზში გადახდილი დაბადების დღით და შეეცდება, მომდევნო წლებშიც ეს დღე საფრანგეთის დედაქალაქში გაატაროს.

6 ივნისს რაფაელ ნადალი გაფრინდება ლონდონში, სადაც მონაწილეობას მიიღებს Queen's Club-ის ტურნირში. ის ამ გათამაშების ჩემპიონია. ამ შემდეგ ჩოგბურთელის გეგმებში უიმბლდონია .

ეგაა, ერთგვარი რეკორდის ავტორად ვერ მოგვევლინა. როლან გაროს` ფინალში გასვლითა და შემდეგ უკვე მოგების შემთხვევაში გახდებოდა პირველი ჩოგბურთელი, რომელსაც საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ზედიზედ მეხუთედ ექნებოდა მოგებული. აქამდე კი შვედ ბიორნ ბორგთან იყო თანაზიარი, რომელსაც როლან გარო ზეიდზედ ოთხჯერ მოეთვინიერბინა.



*ნადალი ისტორიას სოდერლინგმა დააშორა*

# პერესმა კაკა უარყო

ორშაბათს მადრიდის რეალის პრეზიდენტის პოსტი ფლორენტინო პერესმა დაიკავა. გალაქტიკური კლუბის შექმნის იდეით შეპყრობილი ადამიანი სამეფო კლუბში მეორედ მოვიდა და კიდევ ერთხელ შეეცდება, საკუთარ იდეას ხორცი შეასხას. პირველად პერესს ეს კარგად გამოუვიდა. რა იქნება ამჯერად, ვნახოთ.

პერესმა გუნდის ხელმძღვანელობის ჩამოყალიბება დაიწყო. რეალის სპორტულ დირექტორად ხორხე ვალდანო დანიშნა, თავის მრჩევლად - ზინედინ ზიდანი, მწვრთნელად - ვილიარეალის არგენტინელი თავკაცი მანუელ პელეგრინი.

ამავე დროს პერესმა უარყო გავრცელებული ხმები კაკას შეძენის თაობაზე. მადრიდის რეალის ახალ პრეზიდენტს კი სურს ბრაზილიელის გადაბირება, მაგრამ კონტრაქტი ჯერ არ არის გაფორმებული და ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს კაკა უკვე რეალის ფეხბურთელი იყოს, სიმართლეს არ შეეფერება. ყველაფერ ამის თაობაზე პერესმა ერთ-ერთ ესპანურ სატელევიზიო გადაცემაში ისაუბრა.

რატომ შევაჩერეთ არჩევანი პელეგრინიზე? ამ კითხვაზე პასუხი მარტივია. მისი დანიშვნა ხორხე ვალდანომ მირჩია, - განაცხადა ფლორენტინო პერესმა გადაცემა 59 წამში , - პელეგრინი სწორედ ის კაცია, რომელიც ჩვენ გვჭირდება. მან დაამტკიცა, რომ ძლიერი მწვრთნელია და შეუძლია ვარსკვლავებთან მუშაობა. მომწონს მისი საფეხბურთო ხედვა და მიმაჩნია, რომ რეალს მოერგება .

ამის შემდეგ პერესმა ისაუბრა კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაზე, აქცენტი გააკეთა კაკასა და კრიშტიანუ რონალდუზე.


პერესმა საკუთარი გეგმები გაამხილა

პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს კაკა უკვე რეალის ფეხბურთელი იყოს, მართალი არ არის. არ მინდა, გულშემატკივარს ცრუ იმედი ჩავუსახო. თუმცა, კაკას შეძენა ჩვენი სატრანსფერო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა. სატრანსფერო თანხა, რომელიც პრესაში დასახელდა, არარეალურია. ამდენ ფულს ვერც ერთ ფეხბურთელში ვერ გადავიხდით. ჩვენ კლუბის ბიუჯეტზე უნდა ვიზრუნოთ. თანხა რეალური უნდა იყოს. მილანის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ჩემი მეგობარია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაკა რეალში ითამაშებს. ორ კლუბს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს. მილანს საკუთარი გეგმები აქვს და, ცხადია, ჩვენს გამო ამ გეგმებს არ შეცვლის. მოკლედ, ყველაფერი ფეხბურთელის სატრანსფერო თანხაზე იქნება დამოკიდებული. პირადად მე ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რომ კაკა გადმოვიბიროთ. რაც შეეხება კრიშტიანუ რონალდუს, ამაზე ვერაფერს გეტყვით. თუმცა, მართალი გითხრათ, მის შეძენაზე უარს არ ვიტყოდი. კრიშტიანუ დიდი ფეხბურთელია. მას ჯანსაღი ამბიცია აქვს და, თუ შევთანხმდებით, რატომაც არ უნდა ითამაშოს რეალში . ერთსაც დავამატებდი: სულ ერთი დღეა, რაც პრეზიდენტის პოსტი დავიკავე და ჯერჯერობით კონკრეტულ ტრანსფერებზე საუბარი ნაადრევია , - აცხადებს პერესი.

პერესი ხაბი ალონსოს საკითხსაც შეეხო: როგორც ფეხბურთის გულშემატკივარი, ვიტყვი, რომ ხაბი ალონსო უდიდესი ფეხბურთელია. დღეს ალბათ ევროპის საუკეთესო ნახევარმცველიცაა. ცხადია, მისი შეძენა ურიგო არ იქნებოდა, თუმცა მას კონტრაქტი აკავშირებს ლივერპულთან . ამიტომ ჯერ მინდა რაფა ბენიტესს დაველაპარაკო. თუ ის ალონსოს გაყიდვაზე თანახმა იქნება, შემდეგ შესაძლოა მისი ტრანსფერის განხორციელება .

# ლატაშას ღირსება

თეა დოლიძე

ლატაშა მარზოლიზე რამე თუ გსმენიათ. რა თქმა უნდა, არა, რადგან საკრივო კარიერაში ახლა აიდგა ფეხი და არცთუ ცუდად. ფლეიბოის მოდელმა რინგზე გამარჯვება იზეიმა. საკუთარი ფიზიკური მონაცემების გარდა, მოდელი ბრძოლის სხვადასხვა ფორმების სიყვარულითაცაა ცნობილი. სულ ახლახან ლატაშამ რინგზე ისეთ დღეში ჩააგდო კრისტი ტადა, რომ ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მეორე რაუნდში მოდელთან შერკინებაზე.

მებრძოლი მარზოლა დაიბადა 1979 წელს კალიფორნიის შტატში. სკანდალური კარიერის გარდა, მკერდის ზომითაც გამოირჩევა. სიმაღლე 168, წონა 58, პარამეტრები 90-62-85. ამ მონაცემებს თან ერთვის 7 ზომა მკერდი, რამაც ლატაშა მამაკაცებისთვის განკუთვნილი უამრავი ჟურნალის გარეკანზე მოაქცია. რინგზე კი ცნობილი მოდელი დამაინტრიგებელ ვენერად გადაიქცევა ხოლმე - ასეთია მისი ფსევდონიმი.

ჩემს დამარცხებას საოცარი დარტყმა უნდა, რადგან საკუთარი თავი დავარწმუნე იმაში, რომ უძლეველი ვარ და



ლატაშა მოწინააღმდეგეებს მკერდის ზომით აბნევს

ამაში მკერდი მეხმარება. მართალია, 7 ზომა მაქვს, მაგრამ საერთოდ არ მიშლის ხელს. მსიამოვნებს, რომ ადამიანები უემოციოდ ვერ მიყურებენ. ნამდვილი ტკივილის მოსაყენებლად მაიკ ტაისონმა მთელი ძალით მკერდში უნდა დამარტყას, - პრესასთან საუბარში თამამია მოდელი.

ლატაშა მარზოლას წარმატებულ საბრძოლო კარიერაზე კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა მისმა მეგობარმა ჯინა კარანომ: ბრძოლის მოგებისთვის საჭიროა მოწინააღმდეგეს თვალებში უყურო. ლატაშას მკერდი კი ყველასთვის ძალიან დამაბნეველია, რაც მისი წარმატების საწინდარია.

## ანჩელოტი სამი წლით ˝არისტოკრატია˝

კარლო ანჩელოტის ჩელსიში დანიშვნის საკითხი რომ დროის ამბავი იყო, ეს კარგადაა ცნობილი. და აი, ორი დღეც არ გასულა მას შემდეგ, რაც კარლიტომ მილანი დატოვა და, არისტოკრატიული კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, იტალიელმა უკვე მოასწრო ლონდონურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება. ანჩელოტი ამ თანამდებობაზე ძირითადი პრეტენდენტი იყო. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მან დაამტკიცა, რომ შეუძლია ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც წარმატებით იბრძვის მაღალი ადგილებისთვის როგორც საშინაო არენაზე, ისე ევროტურნირებში. ფეხბურთელობისას მას წარმატებული კარიერა ჰქონდა. ამიტომ ის მუშაობას იწყებს როგორც ფეხბურთის ყველა ასპექტში დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტი. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ადამიანი, ვისაც ჩელსიზე გული შესტკივა, ანჩელოტის გულთბილად მიესალმება. მოუთმენლად ველით, როდის შეუდგება მოღვაწეობას, - ნათქვამია ჩელსის ოფიციალურ განცხადებაში.

## ევროპის ჩემპიონი კონფედერაციის თასისთვის გაემზადა

ევროპის ჩემპიონის, ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, ვინც 14-დან 28 ივნისამდე სამხრეთ აფრიკაში გასამართ კონფედერაციის თასზე მიიღებს მონაწილეობას.

**მეკარეები:** იკერ კასილასი ( რეალი ), პეპე რეინა ( ლივერპული , ინგლისი), დიეგო ლოპესი ( ვილიარეალი ).

**მცველები:** რაულ ალბიოლი, კარლოს მარჩენა (ორივე ვალენსია ), ალვარო არბელოა ( ლივერპული , ინგლისი), ჟოან კაპდევილა ( ვილიარეალი ), ხერარდ პიკე, კარლეს პუიოლი (ორივე ბარსელონა ), სერხიო რამოსი ( რეალი ).

**ნახევარმცველები:** სესკ ფაბრეგასი ( არსენალი , ინგლისი), ხაბი ალონსო, ალბერტ რიერა (ორივე ლივერპული , ინგლისი), სერხიო ბუსკეტსი, ხავი, ანდრეს ინიესტა (ყველა ბარსელონა ), სანტი კასორლა ( ვილიარეალი ), დავიდ სილვა, ხუან მატა (ორივე ვალენსია ).

**თავდამსხმელები:** დავიდ ვილა ( ვალენსია ), დანიელ გუისა ( ფენერბახჩე , თურქეთი), ფერნანდო ტორესი ( ლივერპული , ინგლისი), ფერნანდო ლიორენტე ( ატლეტიკი ).

## არაგონესი დაითხოვეს

სეზონის დასაწყისში თურქული ფენერბახჩეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშნული ლუის არაგონესი თანამდებობიდან დაითხოვეს. ესპანელი სპეციალისტის გუნდიდან გაშვების მთავარი მიზეზი გახდა განვლილ სეზონში ფენერბახჩეს მიერ თურქეთის ჩემპიონატში მე-4 ადგილის დაკავება, რაც დიდ წარუმატებლობად ჩაითვალა. არაგონესმა თურქული გუნდის თავკაცის პოსტზე შეცვალა ბრაზილიელი ზიკო, რომელიც ჯერ უზბეკეთის ბუნედკორის დამრიგებელი გახდა, ხოლო ახლა მოსკოვის ცსკას წვრთნის.

## იაკინტა ˝იუვენტუსში˝ დარჩა

იტალიელმა ვინჩენცო იაკინტამ ტურინის იუვენტუსთან კონტრაქტი 2013 წლამდე გააგრძელა. ამაყი ვარ, რომ იუვენტუსთან მომავალშიც ვითანამშრომლებ. ეს იმის ნიშანია, რომ პროგრესი არ შემიწყვეტია. მადლობას ვუხდი ხელმძღვანელობას ნდობისთვის, ხოლო გულშემატკივარს - მხარდაჭერისთვის , - განუცხადა იაკინტამ იუვენტუსის ოფიციალურ ვებგვერდს. ვინჩენცოს გადაბირება სანკტ-პეტერბურგის ზენიტს სურდა.

## ˝პორტუმ˝ მწვრთნელი შეინარჩუნა

პორტუგალიური პორტუს მთავარი მწვრთნელი ჟეზუალდუ ფერეირა კლუბთან ხელშეკრულების 2011 წლამდე გაგრძელებას დათანხმდა.

პორტუელთა ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ფერეირა კლუბში 2006 წელს ბრაგადან მივიდა და პორტუ ზედიზედ სამჯერ გახადა ქვეყნის ჩემპიონი.

## მხოლოდ ხუთი მილიონი

შალკეს ხელმძღვანელობამ გუნდის ახალ მწვრთნელს ფელიქს მაგათს მხოლოდ ხუთი მილიონი გამოუყო ახალი ფეხბურთელების შესაძენად, თუმცა ამ ფაქტს გამოცდილი სპეციალისტი არ გაუღიზიანებია.

ვიცოდი, რომ აქ მომჭირნედ მომიწევდა ხარჯვა, მაგრამ მე ყოველთვის კარგად ვთანამშრომლობ იმ გუნდებთან, რომლებიც გარდატეხის პერიოდში არიან და რესტრუქტურიზებას საჭიროებენ. თითქმის შეუძლებელ საქმესთან შეჭიდება ჩემთვის უდიდესი სტიმულია, - ამბობს ის.




# დაიპყარი მწვერვალი!
## გახდი მოდელი!

საპრიზო ფონდი
**$325 000**




Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007



**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-ი გიწვევთ საერთაშორისო სამოდელო კონკურს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, კლაუდია შიფერი, სინდი კროუფორდი - მათ აირჩიეს Elite Model Look-ი და გახდნენ ტოპ მოდელები.

13-22 წლამდე ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პირველი ნაბიჯი ტოპ მოდელობისაკენ!

გამარჯვებული გაემგზავრება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინალზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **$325 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.





Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008

**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიკო ნიკოლაძის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გარდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025;
info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellook.ge • www.icmodels.ge

IC MODEL MANAGEMENT kikala studio MEDI მედიესთეტიკის კლინიკათა ჯგუფი 24 საათი MUSIC BOX COSMOPOLITAN

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**

## ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა ! თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;**

24 საათი | The New York Times (Articles selected for 24 საათი) | Weekend

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

# ექსკავატორები, საგზაო და სამშენებლო ტექნიკა



TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
24-47-44, 24-47-44 (1219)

გარანტია:
1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად


## ჰაიდელბერგცემენტი
## HEIDELBERGCEMENT

შპს "ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი" აცხადებს ფასთა გამოკითხვას
შემდეგი სახის მომსახურეობაზე:
შპს "ქართული ცემენტისათვის"
- დამცავი დამიწების კონტურის ლაბორატორიული გაზომვა-შემოწმება
- ელექტრო ქსელში ჩართული დანადგარების გარსაცმების დამიწება
- კონტურზე დამცავი მიერთების წინაღობის ლაბორატორიული გაზომვა-შემოწმება

სულ 540 წერტილი.
წინადადებები მოგვაწოდეთ შემდეგ მისამართზე:
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე
წინადადებების მოწოდების ბოლო ვადაა: 2009 წლის 11 ივნისი.

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

2009 წლის 7 მაისის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ N7 (წალკა, სოფ. შიპიაკის ტერიტორიაზე, "შიპიაკის" გრანიტოიდების (საღორლე) გამოვლინება) ობიექტზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 2009 წლის 8 ივნისს 12 საათზე გაიმართება აუქციონი. მის. ჭანტურიას ქ. N12, ტელ. 991129, 991091. აღნიშნულ ობიექტზე აუქციონში მონაწილეობისათვის განცხადებების მიღების ბოლო ვადაა ა/წ 5 ივნისი.

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ,დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით
DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი  რესპუბლიკა"-ს
საარბიტრაჟო პრეტენზია სოფიო სოლოაშვილის, მანანა გოლეთიანის, მურად ჩიქობავას მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 12 ივნისს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ  დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე სოფიო სოლოაშვილი მცხოვრები ქ. ბათუმი, გორგასლის ქუჩა N15, მანანა გოლეთიანი მცხოვრები ბათუმი, ერას ქ. N1, ბინა 18, მურად ჩიქობავა მცხოვრები ბათუმი, აბუსერიძის ქუჩა N38, ბინა N37.

## იყიდება!

მოქმედი მრავალფრაქციული
"დრაბილკა",
ლიცენზირებული კარიერით
80 000 კვ. მ-ზე
ტექნიკასთან ერთად:

- ექსკავატორი "3322 (ობობა),
- მტვირთავი "T0-30",
- თვითმცლელი ა/მ "მაზი",
- ბულდოზერი "C/130"

ფასი შეთანხმებით

საკონტაქტო ტელეფონი:
877 24 44 84

## ცვლილება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 28 მაისის N117 გაზეთ "24 საათში" "სკოლების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე" გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში შეტანილია შემდეგი დამატება:

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

## ქ. თბილისის მერიის განცხადება

2009 წლის 25 ივლისს 13 საათზე გარდაბნის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მის: გარდაბანი, დავით ალმაშენებლის N73) გაიმართება ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის: "გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გაუვნებლობა, მისი განთავსებისათვის პოლიგონის მოწყობა და ექსპლუატაცია. (გარდაბნის რაიონი, სოფელი ნორიოს მიმდებარე ტერიტორია.)

დაინტერესებულ პირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ანგარიშის გაცნობა შეეძლებათ შემდეგ მისამართებზე:

- ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობა - (ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7;)
- სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა"-ს ოფისი - (ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N9;)

დაინტერესებულ პირებს საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ 2009 წლის 20 ივლისის 18:00 საათამდე.

**ქ. თბილისის მერია**

## განცხადება

2009 წლის 14 აპრილს ქალაქ კასპში მრავალსართულიანი სახოვრებელი ბინების სახურავების კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით I და II ლოტზე გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოვლინდა **შპს "რაგო"**. ხელშეკრულების ღირებულება შეაგდგენს 231 871 (ორას ოცდათერთმეტი ათას რვაას სამოცდათერთმეტი) ლარს.

2009 წლის 4 მაისს ქალაქ კასპში საკანალიზაციო სისიტემის მოწყობის სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, გამარგვებულ პრეტენდენტად გამოვლინდა **შპს "ნოვა".** ხელშეკრულების ღირებულება შეაგდგენს 258 160 (ორასორმოცდათვრამეტი ათას ას სამოცი) ლარს.

2009 წლის 14 მაისს გამართულ ტენდერში ქალაქ კასპში სასმელი წყლის სისტემის რებილიტაციის სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოვლინდა **შპს "ნოვა".** ხელშეკრულების ღირებულება შეაგდგენს 283 640 (ორას ოთხმოცდასამი ათას ექვსას ორმოცი) ლარს.

სატენდერო კომისია

**კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: "კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის დაწესებულებების გაერთიანების" და "კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებების გაერთიანების" ბაზაზე, რეორგანიზაციის, კერძოდ, გაყოფის შედეგად ყალიბდება შემდეგი სტრუქტურული ერთეულები, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სახით:

1. "კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება";
2 ."კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება";
3 ."კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება"
4 ."კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება";
5. "კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება";
6. "კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება".

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი**
**შესყიდვის ობიექტი – სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის №16) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე 3 ლოტად.

**შესყიდვის ობიექტი:**

**ლოტი №1** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მომსახურების სამმართველოს ბოლნისის განყოფილების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მისამართი: ქ. ბოლნისი, ყოფილი საყოფაცხოვრებო სახლის მიმდებარე ტერიტორია.

**ლოტი №2** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მომსახურების სამმართველოს ხელვაჩაურის განყოფილების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მისამართი: დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. №21.

**ლოტი №3** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მომსახურების სამმართველოს ამბროლაურის განყოფილების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას №20.

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. სამუშაოების დასრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს:

**ლოტი №1, №2** და **№3** – 150 კალენდარულ დღეში.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 24 ივნისის 09:00 საათიდან 15:00 საათამდე მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა შესაბამისად თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**5.2 ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;

დ) განხორციელებულ სამუშაოებზე, დამკვეთის მიერ შედგენილი 2 ან მეტი სარეკომენდაციო წერილი;

ე) 2007, 2008 ან 2009 წელს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი მოგების დეკლარაციის ასლი, რომლის თანახმადაც ერთობლივი შემოსავალი ერთ-ერთი წლის დეკლარაციის მიხედვით, არ უნდა იყოს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარზე ნაკლები;

ვ) ინფორმაცია 2007, 2008 და 2009 წლების განმავლობაში განხორციელებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თაობაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები), რომელთა ჯამური ღირებულება არ უნდა იყოს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარზე ნაკლები.

6. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

19.

7. პრეტენდენტის მიერ ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში, ავანსის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ლოტის ღირებულების 25%-ს.

8. სატენდერო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

| № | შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|---|
| 1 | სატენდერო წინადადების ღირებულება | 0,45 |
| 2 | სამუშაოს შესრულების ვადა | 0.30 |
| 3 | განსახორციელებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საგარანტიო ვადები და პირობები | 0,25 |
| სულ: | | 1,00 |

9. სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებაზე თუ პრეტენდენტი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტში მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, თუ რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული არ იქნება შეფასებისათვის აუცილებელი ინფორმაცია მე-8 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

10. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბკონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, სატენდერო განცხადების მე-5 პუნქტის მოთხოვნები სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის, გარდა 5.3 ქვეპუნქტის „დ", „ე", „ვ" ქვეპუნქტებისა.

11. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან მეტი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3 %-ის ოდენობით.

12. შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია.

13. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-17 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) 2009 წლის 3 ივნისის 9:00 საათიდან 2009 წლის 23 ივნისის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ქ. თბილისი 0114, გორგასლის ქ №16, მე-8 სართული ოთახი №8-9, სატენდერო კომისიის აპარატი.

14. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

15. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 24 ივნისს 15:00 საათზე.

16. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

17. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი - 200 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში**
**ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი 302006000 გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (3 ლოტად), საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

და წარადგინოს გადახდის დამადასტურებელი საბუთი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

18. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: 261-337; 261-335. საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თევდორაძე, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**03 ივნისი 2009 წ.**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს ქ. მარნეულში ჟორდანიას ქუჩის ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

2. სამუშაოების შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2009 წლის 01 ნოემბრამდე.** შესასრულებელი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ **200 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (რეკვიზიტებზე: „მიმღები" - რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მარნეულის განყოფილება ს/ნ 216403229. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, თბილისი, ბანკის კოდი №220101222, ა/ა № 200122900. მარნეულის მუნიციპალიტეტის სახაზინო კოდი 300103174, გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, ქ. მარნეულში ჟორდანიას ქუჩის ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის), ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2009 წლის 24 ივნისამდე** მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. №71, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის შენობა (II სართული - მუნიციპალური შესყიდვების განყოფილება). ამასთან, დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ შემსყიდველ ორგანიზაციაში გაეცნონ ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას.

4. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) ერთ დალუქულ პაკეტში უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 24 ივნისს $10^{00}$ საათიდან $14^{00}$ საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. მარნეული რუსთაველის ქ. №73, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის შენობა (III სართული გამგეობის კანცელარია).

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

5.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

5.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან უკანასკნელი **18 (თვრამეტი) თვის** განმავლობაში მინიმუმ **3 000 000 (სამი მილიონი) ლარზე მეტი** ბრუნვის შესახებ;
გ) ინფორმაცია/დოკუმენტაცია უკანასკნელი **5 (ხუთი) წლის** განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ (ღირებულების მითითებით).
დ) საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება ცნობის სახით, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;
ე) ინფორმაცია/დოკუმენტაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე, აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზაციისათვის.
ვ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ზ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

ასევე, პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები **მე-5** მუხლის შესაბამისად. შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

6. იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეთათვის ინსტრუქციის **მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით** და საბაზისო მონაცემთა ნუსხით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

8. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის **1%-იანი საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია**. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის **საბანკო ან/და სადაზღვევო გარანტია**.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილებაში, საკონტაქტო ტელეფონი: **(8 257) 2-13-14, (8 257) 2-52-15** საკონტაქტო პირი: მაკა ნავერიანი, თამილა ნადირაძე, მანუჩარ დვალი.

სატენდერო კომისია

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 2 ივლისს ატარებს აუქციონს

აუქციონზე გამოტანილი იქნება ქ.რუსთავის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები კომერციული საქმიანობისათვის

| № | მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა | ფართობი | ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი | ფასი | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ.№30 მ/ტ | 2040 | 02 | 04 | 02 | 313 | 20563 | 8225 | 1000 |
| 2 | ქ. რუსთავი, ქ.შარტავას გამზ. №21 მ/ტ | 144 | 02 | 03 | 02 | 519 | 1391 | 556 | 100 |

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

ს.ს. "საქართველოს ბანკი" რუსთავის ფილიალი საიდენტიფიკაციო კოდი 216290458
ბ.კ. 220101502
ა.ნ №266897601 (მიუთითეთ გადასახადის დანიშნულება).

გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

220101222 სახელმწიფო ხაზინა, 200122900 ერთიანი ანგარიში, სხვა შემოსულობები (რუსთავი) სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში):
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით:
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20

